ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა


17 აპრილიდან!
„ახალი თაობა"+
ლეონარდო და ვინჩი
8 ლარი






20 — 21 აპრილი, 2013
№93 (6094)
ფასი: 30 თეთრი




## მერაბიშვილმა სააკაშვილის გამოსვლის დროს აქცია დატოვა

გვ.3



## ნაციონალებმა ეროვნული მოძრაობა თავიდან დაიწყეს

გვ.4





გუშინდელ აქციას „გუგლის" მონაცემებით 5 ათასამდე ადამიანი ესწრებოდა



## დათა ახალაია პროკურატურასთან ითანამშრომლებს?

გვ.5

## სააკაშვილი უკანონო მოსმენებს აგრძელებს

გვ.5





## საქართველოში ფალსიფიცირებული სამანქანე ზეთი შემოდის

გვ.6



## თემურ შაშიაშვილი: „ქვეყანას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები სჭირდება"

გვ.2

## ბოსტონის ტერაქტის მოწყობაში ეჭვმიტანილები ჩეჩენი ძმები არიან

გვ.9



## სოსო ცისკარიშვილი: „მერაბიშვილმა თავისი ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოახერხა"

გვ.2



## გიგა ბოკერია: ნაციონალებში განხეთქილება არ არის"

გვ.5

# თემურ შაშიაშვილი: „ქვეყანას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები სჭირდება“

შორენა მარსაგიშვილი

**პარასკევს ჩატარებულ აქციას, როგორც მოსალოდნელი იყო მითქმა-მოთქმა არ დაჰკლებია. ზოგი აღფრთოვანდა, ზოგი შეშფოთდა, ზოგი კიდევ გადაირია. პარტია „თეთრების“ ლიდერის თემურ შაშიაშვილის მტკიცებით, გუშინ ნაციონალებმა თავის მიზანს ნაწილობრივ მიაღწიეს. „თეთრების“ ლიდერი ამბობს, რომ 19 აპრილი საქართველოს ან სასიკეთოდ წაადგება, ან პრობლემებს შეუქმნის.**

სერიოზული დაფიქრების შემთხვევაში ის, რაც დღეს მოხდა საქართველოს პარლამენტის წინ, შეიძლება სასიკეთოდ წაადგეს ქვეყანას და სერიოზული დაფიქრების გარეშე კი ბოროტების ახალი აღზევების დღედ იქცეს. დაფიქრება გვჭირდება ყველას. უპირველესად მთავრობას და ახალ ხელისუფლებას. მას, და სწორედ მას ეკისრება პასუხისმგებლობა, რომ დღეს ახალი ძალით ვნახეთ ცინიზმი, გაბოროტება, დემაგოგია, უმეცრება და თვალთმაქცობა. ცინიზმია, რომ ცხრა წლის განმავლობაში ყოველგვარი ქართულის და ეროვნულის წინააღმდეგ მებრძოლი პოლიტიკური ძალა, პირდაპირ ვთქვათ, არაქართული ცნობიერების პოლიტიკური ძალა, საუბრობს ახალ ეროვნულ მოძრაობაზე. დავაკვირდეთ – „ახალი ეროვნული მოძრაობა“. ეროვნული მოძრაობა არ შეიძლება იყოს ახალი და ძველი – ეროვნული მოძრაობა არის ეროვნული მოძრაობა. შეიძლება ისაუბრო განახლებაზე, ეს გააკეთო ძველის პატივისცემით, მაგრამ ეროვნულ მოძრაობასთან სიტყვა „ახალი“, მით უფრო, არაეროვნული ცნობიერების პოლიტიკოსებისაგან, ეს მხოლოდ ნგრევაა, სწორედ ეროვნულობის წინააღმდეგ ბრძოლაა, – აცხადებს „თეთრების“ ლიდერი.

მისი თქმით, 19 აპრილს საზოგადოებამ გაბოროტების ბოლო სტადიაში მყოფი სააკაშვილი იხილა. შაშიაშვილის თქმით, პრეზიდენტის გამოთქმა – „საქართველო ვერ იქნება დიდი სოფელი“ – ეს გაბოროტებაცაა და მისგან ნგრევის გაგრძელების დიდი ნიშანი.

„თეთრების“ ლიდერი გუშინ პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემაც გააკვირა.

– დღემდე მიჭირდა ვინმეზე მეფიქრა, რომ სააკაშვილზე დიდი დემაგოგი გამხდარიყო. გამოჩნდა ახალი – დავით ბაქრაძე. აქაც ერთი დეტალი: „საქართველოში არის ქმედითი ოპოზიცია და უმოქმედო მთავრობა“. მართალია, ამას ერთ ხმაში იმეორებდა ყველა, მაგრამ პარალმენტის ყოფილი თავმჯდომარეს ტოლი არ ჰყავდა. გაჩნდა კიდევ ერთი საშიში დემაგოგი და საერთოდ, დღევანდელი ტრიბუნა – ეს იყო დემაგოგიური აზროვნების ზეიმი. ქვეყანაში, მისთვის საბედისწერო ეტაპზე, დემაგოგ პოლიტიკოსთა დიდი ძალა გამოჩნდა, – ამბობს ექსგუბერნატორი.



მისი თქმით, უმეცრებაა და თვალთმაქცობაა ის, რომ ევროპულ არჩევანზე, დასავლურ ღირებულებებზე, ნატოსთან ურთიერთობების აუცილებლობაზე ლაპარაკობს ის პოლიტიკური ძალა, ლაპარაკობენ ის პოლიტიკოსები, რომლებიც არც იცნობენ ამ ღირებულებებს და არც იციან მათი რეალური არსი.

– თავიანთი მსოფლმხედველობითა და ქცევით შორს არიან ამ შეხედულებებისაგან. აქაც ერთი დეტალი: ვანო მერაბიშვილმა 2003 წელს, როგორც პარლამენტის წევრმა „მოქკავშირის“ სიით, დაწერა, რომ მისთვის მიუღებელია ევროპული ტრადიციები, რომ სხვაგან, გარდა ამერიკისა, „მათ შორის, ევროპაშიც, ყველაფერი არაადამიანურია“. კაცი, რომელმაც ევროპას „არაადამიანური“ უწოდა, დღეს ევროპაზე პოზიტიური საუბრის მონოპოლიზებას ახდენს და ე.წ. „ახალი ეროვნული მოძრაობის“ ლიდერად გვევლინება. ვაი, იმ ხალხს, რომელთათვისაც ვანო მერაბიშვილი და ნაცპარტიაა ევროპული არჩევანი ეს და სწორედ ეს არის ევროპის შეურაცხყოფა, დღევანდელმა შეკრებამ მიზანს ავტორებისათვის სრულად მიაღწია: გამწვავდება პოლიტიკური ბრძოლა და მას სრულად ანტისახელმწიფოებრივი მიმართულება ექნება; დადგა ოქროს ხანა მედროვეებისა და მოთამაშეებისათვის – მათ ფასი დაედოთ, ანუ მოღალატე პოლიტიკოსთა ეპოქა არათუ მთვრდება, სიცოცხლეს იხანგრძლივებს. განსაკუთრებული შედეგი ექნება უცხოელ მაღალი რანგის სპეციალისტთა მიერ დადგმულ ამ სპექტაკლს სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის უცხოელი მხარდამჭერების გასააქტიურებლად დღევანდელი მთავრობის წინააღმდეგ და „ნაცების“ სასარგებლოდ, – აღნიშნავს შაშიაშვილი.



„დავით ბაქრაძემ სააკაშვილს დემაგოგიაში აჯობა“

მისი განცხადებით, გუშინდელი სპექტაკლის ყველაზე დრამატული შედეგი შესაძლოა ის გახდეს, რომ პოლიტიკურად მკვდარი „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლების ხელშეწყობით დამკვიდრდეს რეალურ ოპოზიციად და ამით დასრულდეს ე.წ. კოჰაბიტაცია.

– თუ დღეის შემდგომ პოლიტიკური დებატების სივრცე მედიასა და მის გარეთ დარჩება „ქართული ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ მონოპოლიად, როგორც დღემდე იყო და თუ ბატონი ბიძინა ივანიშვილი გააგრძელებს კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ გარეთ მყოფი, ქვეყნისთვის საჭირო უამრავი პოლიტიკოსის და არაერთი პოლიტიკური ძალის იგნორირებას, როგორც ამას დღემდე აკეთებდა – ეს შედეგში მოგვცემს დასუსტებულ, ხალხის ნდობადაკარგულ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და ხელოვნურად გაძლიერებულ, დღეს პოლიტიკურად მკვდარ „ნაცმოძრაობას“. ქვეყნისათვის ამაზე დიდი ბოროტების წარმოდგენაც კი ძნელია, – მიაჩნია „თეთრების“ ლიდერს.

შაშიაშვილის თქმით, მთავრობისა და მმართველი პოლიტიკური ძალისათვის დადგა ხალხთან, ზნეობრივ ავტორიტეტებთან, მეცნიერებთან, პოლიტიკურ პარტიებთან და პოლიტიკოსებთან, საერთოდ ქვეყნის მომავალზე დაფიქრებულ ადამიანებთან განსაკუთრებული კონსულტაციების აუცილებლობა.

– დადგა აუცილებლობა იმისა, რომ ქვეყნის მომავალს ჩამოვაცილოთ „ახალი ეროვნული მოძრაობის“ ქურქში გახვეული ყალბი ეროვნული პათოსის პოლიტიკური ძალა და ქვეყნის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ განვითარებას მივცეთ სწორი მიმართულება. და კიდევ ერთი, დღევანდელი „ნაციონალური სპექტაკლი“ იყო კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ უსამართლო გარემოში ყველა მართალია, დასჯილია ხალხი, ინგრევა ქვეყანა. სწორედ სამართლიანობის დადგენაშია საქართველოს მომავალი და მომდევნო კვირაში პრემიერ-მინისტრი და საქართველოს მთავარი პროკურორი მიიღებენ „თეთრების“ „სამართლიანობის მანიფესტს“.

ჩვენი პოზიცია კონკრეტულია: პასუხი მოეთხოვოს მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს ქვეყნის ნგრევისა და აშკარად გამოკვეთილი მოსახლეობის გენოციდისათვის, ხოლო ახალმა მთავრობამ მიიღოს საჭირო ზომები „სამართლიანობის მანიფესტში“ ჩამოყალიბებული კონკრეტული მოთხოვნების შესრულებისათვის. რაც დრო გადის, მით უფრო მიძლიერდება აზრი, რომ შემოდგომაზე, ან მომავალი წლის გაზაფხულზე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გარეშე ქვეყანაში სისტემური პოლიტიკური კრიზისის დაძლევა შეუძლებელი გახდება, – მიიჩნევს „თეთრების“ ლიდერი.

## გამოკითხულთა უმრავლესობა სააკაშვილის მიერ გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარის თქმას, პასუხისმგებლობის შიშით ხსნის

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 12 აპრილიდან 19 აპრილამდე საანალიზო პერიოდში, ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილის მხრიდან გამოძიებასთან თამაშრომლობაზე უარის თქმა, მის მიერ პასუხისმგებლობის შიშითაა გამოწვეული.

კითხვაზე – „ თქვენი აზრით, რითაა გამოწვეული აგვისტოს ომის გამოძიებასთან თანამშრომლობაზე პრეზიდენტის მხრიდან უარის თქმა,“ გამოკითხულთა 76,3 პროცენტმა უპასუხა, რომ ეს პასუხისმგებლობის შიშითაა გამოწვეული, 20,3 პროცენტს კი მიაჩნია, რომ უარის თქმა გამოძიების ობიექტურობაში შეტანილმა ეჭვმა განაპირობა. ამასთან, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, გამოკითხვაში მონაწილეთა 3,4 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

## სოსო ცისკარიშვილი: „მერაბიშვილმა თავისი ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოახერხა“

პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილის განცხადებით, იმ პირობებში როდესაც 19 აპრილის აქცია 2 თვით ადრე იყო დაგეგმილი და დაანონსებული, ხალხის დღევანდელი რაოდენობა რომელიც რუსთაველზე შეიკრიბა, „ნაციონალური მოძრაობის“ დღევანდელ რეიტინგზე, კომენტარსაც კი არ იმსახურებს.

მანიფესტაციაზე, სხვადასხვა მონაცემებით, 5 – დან 6 ათასამდე ადამიანი იმყოფებოდა.

„მე მანიფესტაციას ტელევიზიიით ვადევნებდი თვალყურს და გამომსვლელთაგან კი მესმოდა, რომ მთელი საქართველო იქ იყო. რაც შეეხება მიტინგზე სააკაშვილის გამოჩენას, ეს, მიუხედავად გავრცელებული ინფორმაციებისა, რომ ის აქციაზე მისვლას არ აპირებდა, – მოსალოდნელი იყო.

გუშინ, დღის პირველ ნახევარში, ერთ -ერთი უცხოური სააგენტოს ჟურნალისტი ჩემთან საუბარში დაინტერესდა, თუ რატომ არ აპირებდა დღევანდელ აქციაზე პრეზიდენტი მისვლას.



მე მას ვუპასუხე, რომ დიდი ალბათობით სწორედაც რომ მივა, რადგან მის ხასიათში არ ჯდება ტელევიზორთან ჯდომა, როცა შეუძლია მივიდეს და თავად ითამადოს. ამ შემთხვევაში ჩემი პროგნოზი გამართლდა.

ინიციატივა სააკაშვილის მისვლისა აქციაზე მისივე სურილი იყო, ამდენად, მერაბიშვილმა თავისი ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელება ვერ მოახერხა, რამეთუ ის კმაყოფილი იქნებოდა თუ რეალურად, დღეს მოხდებოდა მისი გარკვეული „ინაუგურაცია“ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის თანამდებობაზე. ამდენად როგორც ჩანს ეს სცენარი ჩაეშალა და მიხვდა რომ მისი დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა. მერაბიშვილის დაგვიანებული გამოჩენა პერსონალურად მის მიმართ ოვაციებზე იყო გათვლილი. საწინააღმდეგოდ კი, ის უფრო ნირწამხდარი ჩანდა“ – განაცხადა ცისკარიშვილმა.

ნიუსპრესი

## თეა წულიკიანი თურქეთში მიმდინარე საერთაშორისო სამიტს ესწრება

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, სტამბულში, ბუდაპეშტის პროცესის ფარგლებში მიმდინარე კონფერენციას ესწრება. სამიტი – „აბრეშუმის გზის პარტნიორობა მიგრაციისთვის,“ თურქეთის მთავრობის ორგანიზებითა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის მხარდაჭერით იმართება. მას 50-მდე სახელმწიფოს მინისტრები და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებიან.

იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამიტის დაწყებამდე თეა წულუკიანმა, შვეიცარიის იუსტიციისა და პოლიციის მინისტრ სიმონეტა სომარუასთან გამართა შეხვედა. მინისტრმა შვეიცარიელ კოლეგას საქართველოს მიგრაციის სამთავრობო კომისიის მუშაობა გააცნო. საუბარი ასევე შეეხო, დიასპორების სახელმწიფო მინისტრის ჩართულობის ხარისხს მიგრაციის კომისიის საქმიანობაში.

სამიტი – „აბრეშუმის გზის პარტნიორობა მიგრაციისთვის,“ მიზნად, მოწესრიგებული მიგრაციის სისტემის შექმნის ხელშეწყობას ისახავს. მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობის მხარდასაჭერად, მინისტერიალის მონაწილეები ერთობლივ კომუნიკეს განიხილავენ.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მერაბიშვილმა სააკაშვილის გამოსვლის დროს აქცია დატოვა

## ნაცმოძი იშლება!

ნათია ხურცილავა

**ვანო მერაბიშვილის მიერ დაანონსებული აქცია ზუსტად დათქმულ დროს დაიწყო. რუსთაველზე ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერები შეიკრიბნენ. „ნაციონალურმა მოძრაობამ" მიტინგის წაყვანა გიორგი ვაშაძეს ანდო. გუშინ გიორგი ვაშაძის თვით გუბაზ სანიკიძესა და ლევან გაჩეჩილაძესაც კი შეშურდებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ ვაშაძეს მიტინგის წაყვანის არანაირი გამოცდილება არა აქვს და პირდაპირ კაბინეტიდან მოუწია რუსთაველის გამზირზე შეკრებილი მიტინგის გაძღოლა, „ნაციონალებს" ერთი კაცი, რომელიც მიტინგებს გაუძღვება – უკვე ჰყავთ. თუმცა, პრეზიდენტმა თქვა, ისინი ბრაზიანი ოპოზიცია არ იქნებიან და ალბათ აქციებიც პერმანენტული ხასიათის არ იქნება.**

რუსთაველის გამზირზე შეკრებილებს გიორგი ვაშაძემ ახალი ეროვნული მოძრაობის შესახებ აუწყა. ასევე მიტინგის მთავარი ლაიტმოტივი საერთო მიზნებისთვის გაერთიანება იყო. გუშინ ასევე ხშირად ისმოდა ილია ჭავჭავაძე და მისი იდეები.

— დღეიდან ჩვენ ვიწყებთ აქტიურ, თავდაუზოგავ მოძრაობას — ასე მიმართავდნენ გამომსვლელები შეკრებილებს.

მთავარი კითხვა ალბათ ეს არის — რამდენი ადამიანი იყო მისული აქციაზე?

„ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი აქციით კმაყოფილია.

ამის შესახებ მერაბიშვილმა ჟურნალისტებს აქციის დატოვებამდე განუცხადა.

— კმაყოფილი ვარ, რა, არ უნდა ვიყო კმაყოფილი?!

კითხვაზე, დათა ახალაიას ადვოკატის ირაკლი ზაქარეიშვილის მიერ ახალაიას სახელით გაკეთებულ მორიგ განცხადებასთან დაკავშირებით, მერაბიშვილმა მხოლოდ აღნიშნა, რომ ამ საკითხზე მან სათქმელი უკვე თქვა.

თუ რატომ არ იმყოფებოდა დღევანდელ აქციაზე ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი როლანდ ახალაია და რამდენად აქტიურად მოიაზრება მერაბიშვილი „ნაციონალების" საპრეზიდენტო კანდიდატად, ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა უპასუხოდ დატოვა.

„ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა" ყველაფერს გააკეთებს, რათა აიძულოს ხელისუფლება, შექმნას სამუშაო ადგილები და თუ ამას არ გააკეთებენ, თავად მოვა ხელისუფლებაში და გააკეთებს.

— მე მინდა გითხრათ, რომ დღევანდელი დღე, 19 აპრილი, უკვე შევიდა საქართველოს ისტორიაში. დღეს თქვენ აქ მობრძანებით, ისტორიას ჩააბარეთ საფრთხე, რომლის წინაშეც საქართველო იდგა, ამ დღის შემდეგ ვერავინ — ვერც ივანიშვილი, ვერც მისი მინისტრები, ვერც ვლადიმერ პუტინი, ვერ გაბედავს, რომც იოცნებოს, რომ საქართველო ოდესმე დაშორდება ევროპას. დღევანდელი ვერც ერთი პოლიტიკური ლიდერი ველარც გაიფიქრებს სიზმარშიც, რომ ხომ არ დავბრუნდეთ უკან. ჩვენ დღეს გავიმარჯვეთ, დღევანდელმა ხელისუფლებამ დაინახა, რომ საქართველოში არის ძალა, ძალიან ბევრი ხალხი, ვინც არ დაუშვებს საქართველოს უკან დაბრუნებას და დღევანდელ დღეს დაესვა წერტილი ნებისმიერ საფრთხეს. მე ვარ ბედნიერი კაცი იმიტომ, რომ 1990-იან წლებში დაიწყო ეროვნული მოძრაობა, 200, 300 და 400 კაცი გამოდიოდა საქართველოს ეროვნული მოძრაობით და საქართველოს დამოუკიდებლობა უნდოდა. 2013 წელს, როცა დადგა ეჭვქვეშ საქართველოს ორიენტაცია, ათი ათასობით ადამიანი გამოვიდა თბილისის ქუჩებში, ამიტომ მე ვაფრთხილებ საქართველოს ხელისუფლებას, ხელები შორს საქართველოს დამოუკიდებლობისგან. დღეს აქ არიან ჩვენი აზერბაიჯანელი და სომეხი მეგობრები, ჩვენ ვდგავართ ერთად საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, პირველ გამარჯვებას უკვე მივაღწიეთ და კიდევ ბევრია გასაკეთებელი. სამწუხაროა, რომ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ყველაფერი ვერ მოვასწარით, მთავარი, რაც ვერ მოვასწარით, არის ის, რომ თითოეულ ოჯახში ვერ შევიტანეთ ის, რასაც ვაკეთებდით წლების განმავლობაში. ჩვენ შევქმენით ახალი საქართველო. ყველაზე დიდი პრობლემა, რაც დარჩა, არის დასაქმება და უმუშევრობა. დღეიდან გაძლევთ გარანტიას, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ყველაფერს გააკეთებს, რათა შეინარჩუნოთ სამსახურები და მომავალშიც ყველას ჰქონდეს სამუშაო ადგილი. „ნაციონალური მოძრაობა" ყველაფერს გააკეთებს, რათა აიძულოს ხელისუფლება, შექმნას სამუშაო ადგილები, თუ ამას არ გააკეთებენ, ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში და ჩვენ გავაკეთებთ. ბიძინა ივანიშვილს მინდა მოვუწოდო, თავი დაანებოს ნგრევას, ის ვერაფერს ვერ დაანგრევს, ამის მაგივრად თავისი დრო, ენერგია და თუ გინდა ფულიც, მოახმაროს საქართველოს ეკონომიკის აღორძინებას. თუ უნდა დარჩეს საქართველოს ისტორიაში დადებითად, ამის მცირე, მაგრამ შანსი აქვს, მაგრამ ჯერჯერობით, რასაც აკეთებს, შანტაჟის, კომპრომატების, ძალადობის ქმნით, შეიძლება, ჩაიწეროს არა პოპულარულ პოლიტიკოსად და არ მიეცეს საშუალება, ბოლომდე მიიყვანოს თავისი ვადა, — განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

მიუხედავად გავრცელებული ხმებისა, რომ აქციაზე არ მივიდოდა პრეზიდენტი, გუშინ მოულოდნელად მიხეილ სააკაშვილის ესკორტი გამოჩნდა. თუმცა, მანამდე, პრეზიდენტის დაცვამ საგულდაგულო დერეფანი გააკეთა, რომ სწორედ დერეფნიდან მომხდარიყო პრეზიდენტის სცენაზე აყვანა. მაშინ, როდესაც დაცვა დერეფანს აკონტროლებდა, პრეზიდენტი ხალხში გავიდა და სწორედ ხალხის მასიდან ავიდა სცენაზე. მიხეილ სააკაშვილს კარგა ხანს მოუწია სცენაზე დგომა, რადგან გამომსვლელები გამოდიოდნენ. პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლის დროს ვანო მერაბიშვილმა სცენა დატოვა.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, დღეს საქართველოს იმედიანი ოპოზიცია და რატომღაც ბრაზიანი მთავრობა ჰყავს.

პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლის დროს, ხალხი „მიშა, მიშას" სკანდირებდა. სიტყვაც არაერთხელ შეაწყვეტინეს.

— მე აქ გაბრაზებულ ხალხს ვერ ვხედავ. ჩვენ როცა მთავრობაში ვიყავით, ბრაზიანი ოპოზიცია გვყავდა. დღეს ჩვენ ვართ იმედიანი ოპოზიცია და რატომღაც მივიღეთ, ბრაზიანი მთავრობა. მინდა, მათ ვუთხრა, მინდა, ერთმანეთს ხელი გავუწოდოთ და შეგვხედეთ ჩვენ, თუ ჩვენ ამდენი ბრძოლის მიუხედავად, იმედიანად ვართ, თქვენც იმედიანად იყავით. ყველანი ვიყოთ იმედიანად. საქართველოს ჰყავდეს იმედიანი ოპოზიცია, იმედიანი მთავრობა და იმედიანი საზოგადოება. ის ლოზუნგები, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" გაასამართლებენ, დაიჭერენ, გაანადგურებენ, მარტივ მამრავლებად დაშლიან, მინდა მივულოცო, ნამდვილად, რამდენიმე დეპუტატი იყიდეს. ვიღაც საკრებულოები დააშინეს და



იყიდეს, მაგრამ ეს საზოგადოება არ იყიდება. საქართველოში საზოგადოებაა მთავარი და არა ცალკეული ვირთხები, ვინც გაიქცა. მინდა ვუთხრა მათ, რომ ჩვენ ყველა საქმეში დაგიდგებით. თქვენ ძალიან გაგიღიმათ ბედმა, რადგან ჩვენ დაგიტოვეთ ძალიან მაგარი შენობები, სადაც თქვენ სხედხართ, კომფორტიული კაბინეტები, პოლიციის სამსახურები, მაგარი ინფრასტრუქტურა, მაგარი გზები, მილიარდობით ლარი, მათ შორის, იმ პროგრამებისთვის, რომელსაც ახლა ახორციელებთ. მთავარი ბედი არის იმაში, რომ ჩვენი ოპოზიცია მოღალატეობის პოზიციაზე იდგა, იღვიძებდა დილით იმისთვის, თუ როგორ მიყიდვოდა მტერს, როგორ წასულიყო კრემლში, როგორ ჩაებარებინა აღლუმი პუტინთან ერთად. თქვენ კი გყავთ ოპოზიცია, რომელსაც უყვარს ქვეყანა. რომელსაც ზურგზე ახტებოდა უამრავი დამპყრობელი კონდახით, გინებით, მუქარით, მაგრამ ერთხელაც კი ვერ დააჩოქეს. ერთხელაც კი ვერ ათქმევინეს აუგი თავის ქვეყანაზე, — განაცხადა სააკაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, საქართველო არა მარტო დავით აღმაშენებლის, ცხრა ძმა ხერხეულიძის, არამედ ჟიული შარტავას, გიორგი ანწუხელიძის ქვეყანაა.

— გიორგი ანწუხელიძის დროშით, ჩვენი ხუთჯვრიანი დროშით ჩვენ ყველა ერთად დავდგებით, თუ მთავრობაც წამოგვყვება, ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი, უმცირესობისა და უმრავლესობის წარმომადგენელი, ჩვენი წმინდა გიორგის წინამძღოლობით საქართველოს სამშვიდობოს გავიყვანთ, — განაცხადა სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, „თუკი რამედ ღირდა ცხოვრება, ღირდა იმისთვის, რომ საქართველოში არის ხალხი, რომელიც არ იყიდება".

— ჩემო თანამემამულენო, ჩემო დედებო და მამებო, ბებიებო და ბაბუებო, ჩემო შვილებო, ჩემო დებო და ძმებო, საქართველო საუკეთესო შვილნო, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ ამაყი და წელში გამართული ვარ იმით, რომ დღეს აქ გხედავთ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიყვარხართ და როგორ მეყვარებით ყოველთვის. მე პოლიტიკაში იმისთვის არ მოვსულვარ, რომ რამე თანამდებობები დამეკავებინა შენობაში, რომ წავსულიყავი და ოფიციალურ სამიტებზე მევლო, პრეზიდენტებისთვის ხელი ჩამომერთმია, სურათები გადამეღო, რაიმე პრივილეგიები მიმეღო. მე ხელისუფლებაში მოვედი იმიტომ, რომ მიყვარხართ, იმიტომ, რომ თქვენ მომიყვანეთ. იმიტომ, რომ თქვენთან ერთად ვიქნები, თქვენთან ერთად ვიბრძოლებ და თქვენთან ერთად მოვკვდები. ბოლო 7 თვე თქვენ გაპატიმრებდნენ, დაკითხვებზე დაგათრევდნენ, ხელებს გიგრეხდნენ, სამსახურებიდან გათავისუფლებდნენ, თქვენ გაშინებდნენ, კუთხეში გამწყვდევდნენ და მაინც მოხვედით, მაინც დადექით, მაინც ბევრნი და ერთიანები ვართ, იმიტომ, რომ არის ერთი რამ, რაც დღეს, სამწუხაროდ, ბევრს არ ესმის და ყველაფერი მილიონებით არ იყიდება. ყველაფერი ფულზე არ იცვლება, ყველა ადამიანი არ შინდება, რადგან ჩვენ აქ არ მოვსულვართ ჯიპებისთვის, ბიზნესისთვის, ყაზახეთის ტვირთებისთვის და მილიონრებად გახდომისთვის. ჩვენ მოვედით, ერთადერთი ჩვენი ღირსებისა და ჩვენი სამშობლოსთვის. მინდა გითხრათ, თუკი რამედ ღირდა ცხოვრება, ბოლო წლებისთვის ბრძოლა, ღირდა იმისთვის, რომ დღეს აქ შევკრებილიყავით, რომ საქართველოში არის ხალხი, რომელიც არ იყიდება. ჩვენ არ ვიყიდებით, ჩვენ საქართველო არ გაგვიყიდია, — განაცხადა პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ყოფილი თანამებრძოლიც არ დაივიწყა. მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, ნინო ბურჯანაძე კრემლის მეგობარია, მთავრობა კი ნახევრად მეგობარი.

— ჩვენ გავიგეთ განცხადება იმის შესახებ, რომ მთავრობამ თქვა, ჩვენი ოპოზიცია ნინო ბურჯანაძე უნდა იყოს, ვინც პუტინის მეგობარია იმიტომ, რომ ხალხს ჰქონდეს მომავალში არჩევანი, ცუდსა და უარესს შორის, ან კრემლის მეგობარი ბურჯანაძე, ან კრემლის ნახევრად მეგობარი მთავრობა. მინდა, მათ ვუთხრა, რომ ქართველი ხალხი არჩევანს გააკეთებს არა მოღალატეებსა და ნახევრად მოღალატეებს შორის, არამედ პატრიოტებსა და კიდევ უფრო პატრიოტებს შორის. თუ ჩვენ ავირჩევთ უღირსობას, მივიღებთ სრულ ოკუპაციას, თუ დავდგებით ღირსებაზე, გავათავისუფლებთ მთლიანად ქვეყანას, — განაცხადა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, საქართველო ბევრი პატარა სოფლისგან შემდგარი ქვეყანაა, მაგრამ პატარა სოფელი არაა, არამედ დიდი ქალაქია, რომელსაც მსოფლიო სიამაყით შესცქერის.

გიგი უგულავას შეკრებილები ტაშით შეხვდნენ.

თბილისის მერის განცხადებით, შეიძლება ბევრი შეცდომა იყო და კარგია, რომ ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ მედროვეებისა და საშოვარზე გამოსული ხალხის ადგილი ჩვენ გვერდით აღარ ყოფილიყო.

— ჩემთვის დიდი პატივია, დღეს აქ დგომა, რადგან თბილისი არის ქვეყნის გული და ის მთელი საქართველოდან ჩამოსულ ხალხს მთელი არსებით მიესალმება. დღევანდელ დღეს აქ ახალი ეროვნული მოძრაობა, ახალი ოპოზიცია და ახალი ევროპული საქართველო იბადება. ჩვენი გზა, რომელსაც მივყვებით, ეს არის სიმართლის გზა. დღეს საქართველო გაცილებით უკეთესია, ვიდრე 2004 წელს იყო და აქ მოვედით იმისთვის, რომ ჩვენ მიერ დაწყებული განვითარება გაგრძელდეს. გასული 9 წელი ძალიან რთული იყო. ერთად ბევრი ჭირ-ვარამი გამოვიარეთ და მიხარია, რომ მოსახლეობამ შეგვახსენა შეცდომები, რაც დავუშვით. შეიძლება ბევრი შეცდომა იყო და კარგია, რომ ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ მედროვეებისა და საშოვარზე გამოსული ხალხის ადგილი ჩვენ გვერდით აღარ ყოფილიყო. ეს ადამიანები ჩვენი პარტიიდან წავიდნენ და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს „ოცნებას" ისინი. მივმართავ ივანიშვილს და ვეუბნები, რომ საქართველო არის ერთი მთლიანი ქვეყანა და ის ლურჯ და წითელ ფერებად არ უნდა დაიყოს. სწორედ ამ იდეის გარშემო უნდა გავერთიანდეთ და უნდა განვავითაროთ ჩვენი ქვეყანა, — განაცხადა უგულავამ.

მისივე თქმით, ოპოზიციამ უნდა გაუსვას წითელი ხაზები და ხელისუფლებას უთხრას, რომ ეს ხაზები არ უნდა გადაკვეთოს, რადგან ისინი ქვეყნის ინტერესებზე გადის.

— შეიძლება, ვინმემ თქვას, რომ 7 თვე საკმარისი დრო არ არის, თუმცა ფაქტია, რომ ქვეყანას ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგას წინ. სამწუხაროდ, ვერანაირ პროგრესს ვერ ვხედავ და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ ჩვენ ვართ ხელისუფლების და არა ქვეყნის ოპოზიციაში. წინა ოპოზიციამ დაგვიტოვა ნულოვანი სტანდარტი. უნდა ამოვიგდოთ თავიდან სიტყვა „დაბრუნება", რადგან ეს წარსულში დაბრუნებას ნიშნავს. ჩვენ ახლა გამარჯვება გვჭირდება. საქართველო ნომრებად და ფერებად კი არ უნდა დავყოთ, „ნაცებად" და „ქოცებად", ყველამ უნდა მივუთითოთ ერთმანეთს შეცდომებზე და ერთად ავაშენოთ საქართველო, — განაცხადა უგულავამ.

მიტინგს სიტყვით პარალმენტის წევრმა ტარიელ ლონდარიძემაც მიმართა. ლონდარიძის განცხადებით, პრეზიდენტმა არ უნდა დათმოს და 26 მაისს აღლუმი ქვეყნის მთავარსარდალმა უნდა ჩაიბაროს.

— ეს მთავრობა წავიდა იქითკენ, რომ ჯარს აუკრძალა აღლუმზე გამოსვლა. მოვუწოდებ პრემიერ ივანიშვილს, რომ დაძლიოს შიში და აღლუმი ჩაატაროს. გაუმარჯოს ქართულ პოლიციას და ჯარს და 26 მაისს ყველამ ერთად უნდა დავამტკიცოთ, რომ ვიბრძოლებთ ქვეყნის ერთიანობისთვის. ჩემს უკან დგას ქვეყნის მთავარსარდალი და მე არ მომეწონა მისი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მე დავთმობ 26 მაისს, ავლანეთში შევხვდები და აღლუმი ჩაატარონო, არა პრეზიდენტო, აღლუმი თქვენ უნდა ჩაატაროთ და მე მზად ვარ, აღლუმის მერე პრეზიდენტთან ერთად გავემგზავრო ავლანეთში, — განაცხადა ლონდარიძემ.

მისივე თქმით, ხალხი, რომელიც არ მიესალმება საკუთარ არმიას, დადგება დრო, როცა მტერს მიესალმება.

აქციაზე მისული იყო უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია. გიგა ბოკერიამ, დათა ახალაიასთან დაკავშირებით პირველად გააკეთა კომენტარი.

უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია დათა ახალაიას განცხადებას აბსურდს და ბოდვას უწოდებს.

როგორც ბოკერიამ ჟურნალისტებს განუცხადა, მსგავს ბოდვაზე კომენტარის გაკეთებას არ აპირებს.

როგორც ბოკერიამ აღნიშნა, „ჩვენ მოვისმინეთ ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირის განცხადება, რომელიც არის აბსურდი, ბოდვა და მარაზმი და ეს ადამიანის დეგრადაციის მაჩვენებელია".

უშიშროების საბჭოს მდივანი ასევე ბოდვას უწოდებს „ნაციონალურ მოძრაობაში" განხეთქილების თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას.

უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია მიიჩნევს, რომ „ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ საქართველო ევროპული ქვეყანა არ არის, დამარცხდებიან".

ბოკერიამ აღნიშნული განცხადება რუსთაველზე აქციის დასრულებისას გააკეთა.

— მინდა, გითხრათ, რატომ იყო მნიშვნელოვანი დღევანდელი დღე ჩემთვის. ეს დღე და ეს შეკრება, ადამიანების აქ მოსვლა არის ძლიერი სიგნალი იმისა, რომ მთელი საქართველოს არჩევანი არის გახდეს თავისუფალი ერების ოჯახის წევრი. საქართველო თავისუფალი უნდა იყოს არამხოლოდ შინაარსით. დღეს აქ მყოფი ადამიანები ის ხალხია, ვინც საკუთარი ინიციატივით არავის მისცემს საშუალებას, ნაბიჯ-ნაბიჯ ჩაგვაჩოჩოს ამ არჩევანიდან და ხაზს უსვამს, რომ ეს არ არის მხოლოდ საგარეო კურსის არჩევანი. ეს არის არჩევანი, თუ როგორი ქვეყანა უნდა ვიყოთ. ის ხალხი, ვინც ამბობს, რომ ჩვენ ეს არ გამოგვივა, რომ საქართველო უნდა იყოს ეთნიკურად და რელიგიურად დაყოფილი, ვინც ამბობს, რომ საქართველო არ არის ევროპული ქვეყანა, დამარცხდება და საქართველო გაიმარჯვებს, — განაცხადა ბოკერიამ.

აქციაზე მისული იყვნენ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნები, შსს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი შოთა უტიაშვილი, კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა.

ნაციონალური მოძრაობის აქცია გოგა ხაჩიძის „დირიჟორობით" საქართველოს ჰიმნით დასრულდა.

# ნაციონალებმა ეროვნული მოძრაობა თავიდან დაიწყეს

## გუშინდელ აქციას „გუგლის“ მონაცემებით 5 ათასამდე ადამიანი ესწრებოდა

შორენა მარსაგიშვილი

**ყურადღების მიპყრობა მათ აქციამდე შეძლეს. ნაცმოძის შიდა სამზარეულოში დიდ დაპირისპირებას აქვს ადგილი. ახალაიების კლანსა და მერაბიშვილის კლანს შორის დაპირისპირება ბევრ საინტერესო სიურპრიზს გვპირდება.**



ნაციონალებს თუ ჰკითხავ, ახალაიებმა ახალი ხელისუფლების ზეწოლას ვერ გაუძლეს და ამიტომ დაიწყეს რაღაცების საუბარი. ამ სამზარეულოში მიმდინარე ალიაქოთი მომავალში კიდევ უფრო მწვავე სახეს მიიღებს და მათზე ისედაც ბევრის წერა მოგვიწევს. ახლა კი ისევ გუშინდელ აქციას დავუბრუნდეთ.

აქციისთვის სამზადისი შს სამინისტრომ 3 დღით ადრე დაიწყო. აქციისთვის სცენა რუსთაველის გამზირზე 18 აპრილს, საღამოს დაამონტაჟეს.

ამ აქციისთვის, ნაციონალების გარდა, სხვებიც ემზადებოდნენ. განსაკუთრებული სამზადისი ჰქონდათ იმ ადამიანებს, რომლებიც ამ რეჟიმმა დააზარალა. ასეთები კი მრავლად არიან საქართველოში.

აქციამდე სოციალურ ქსელებში იყო მოწოდებები, რომ ხალხი რუსთაველზე გასულიყო და ნაციონალები დაებეგვა. ამ მიმართულებით განწყობა ბოლო დღეებში რადიკალურად შეიცვალა. ხალხმა გააცნობიერა, რომ ნაციონალების ცემა ნაციონალებისავე წისქვილზე დაასხამდა წყალს. ასეთი სკანდალი ოპოზიციაში გადაბარგებულებს განსაკუთრებით ახლა აწყობდათ. 23 აპრილს ბიძინა ივანიშვილი ევროსაბჭოს წინაშე სიტყვით უნდა გამოვიდეს და მის გასაშავებლად ასეთი ჩხუბი მისწრება იქნებოდა.



ამ მხრივ ნაციონალებს მიმდინარე წლის 8 თებერვალს გაუმართლათ. მაშინ ატეხილმა წიოკმა ნაცმოძს წამებულის გვირგვინი დაადგა თავზე. გუშინ ეს არ გამოვიდა. არადა, რამდენს ეცადნენ. დღე და ღამე გვესმოდა, როგორ ატერორებდნენ ნაციონალებს მეოცნებეები. მეოცნებეები კი იმის მტკიცებაში იყვნენ, ნაცმოძი თავის აქტივისტებს ფულს ურიგებსო.

ასე ვაივაგლახით მოვედით 19 აპრილამდე. ყველაზე პირველები რუსთაველზე სამართალდამცავები მივიდნენ, მერე ნაციონალებიც ნელ-ნელა გამოჩნდნენ. დილით ერთი ინციდენტიც მოხდა. გამვლელმა ნაციონალებისთვის განკუთვნილ სცენაზე ცოცხი შეაგდო.

სამიტინგე ტერიტორიაზე რამდენიმე ანტინაციონალისტიც გამოჩნდა. ისინი სამართალდამცავებმა ადგილიდან გაარიდეს.

ეს აქცია, მოგეხსენებათ, ნაციონალებმა ქვეყნის დასავლური კურსის მხარდასაჭერად მოაწყვეს. ამიტომაც, საქართველოს დროშებთან ერთად, ევროკავშირისა და ნატოს დროშებიც ფრიალებდა. დროშები და ტარები ადგილზევე ურიგდებოდათ „აქციონერებს“.

ვიღაცებს მარტო დროშები შეხვდათ. ზოგმა წელზე შემოიხვია ეროვნული დროშა, ზოგმაც დაბლა გაშალა და ზედ დაჯდა. ისე, პატრიოტ ნაციონალებს შევახსენებ, რომ ეს დროშის შეურაცხყოფაა. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ტყვედ ჩავარდნილმა ქართველმა გმირმა გიორგი ანწუხელიძემ უარი თქვა, ფეხით გაეთელა ქართული დროშა. ის ამიტომ მოკლეს წამებით.

დროშა ნაციონალების ერთ-ერთ ლიდერ ნუგზარ წიკლაურსაც ამაყად ეჭირა. 5 წუთის განმავლობაში აფრიალა კიდევაც. მერე დაიღალა და სხვას გადასცა ეს დროშა. აქციის მონაწილეთა რიცხვი მას აშკარად არ აკმაყოფილებდა. წიკლაური გვპირდებოდა, რომ 19 აპრილს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური აქცია გაიმართებოდა. გუშინდელი აქცია კი მასშტაბური სულაც არ იყო. ამდენად, წიკლაურს, ცოტა არ იყოს, ეწყინა, როცა მის განცხადებაზე ვთხოვეთ კომენტარის გაკეთება.

— მგონი, ბევრი ხალხია. კოლონები ჯერ ისევ მოდიან. მჯერა, რომ ბევრი ხალხი იქნება. შესაძლოა, ვიღაცამ უფრო დიდი აქცია მოაწყო, მაგრამ ჩვენ არავის ვეჯიბრებით. ჩვენ ვიცავთ საქართველოს და დემოკრატიულ არჩევანს, — განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ნუგზარ წიკლაურმა, რომელმაც გუშინ ნაციონალების შიგნით არსებულ დაპირისპირებაზე საუბარს თავი აარიდა. ამ თემაზე საუბარი არც გოგა ხაჩიძემ მოისურვა.

— რა დაპირისპირებაა, არ ვიცი. მე ნაციონალურ მოძრაობაში არც მერაბიშვილის გამო ვარ და არც ახალაიების. მე აქ ღირებულებების გამო ვარ, — გვითხრა ხაჩიძემ.

ეს უკანასკნელი ფეისბუქის საკმაოდ აქტიური მომხმარებელია. სოციალური ქსელებით ის ხშირად მოგვიწოდებდა აქციაზე მისვლისკენ. გუშინ დილით ისევ დაგვპატიჟა აქციაზე, ოღონდ გვთხოვა, ღარიბაშვილის კორიდორებს არ ენდოთო.

— ასე იმიტომ დავწერე, რომ სანდო არ არის. მიმდინარე წლის 8 თებერვალს გავიარე ამ კორიდორით და თავში მომხვდა ბევრი, — გვითხრა ხაჩიძემ.

დეპუტატი, მოგეხსენებათ, კარგად უკრავს დოლზე. იყო ვარაუდები, რომ შესაძლოა ხაჩიძეს გუშინ დაეკრა, მაგრამ არ გაგვიმართლა.

— დავუკრავდი, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქციაა, — განუცხადა „ახალ თაობას“ დეპუტატმა.

ის დაგვპირდა, რომ აქცია ცივილიზებულად და მშვიდად ჩაივლიდა.

— ხელკეტებით არსად შევარდებიან, როგორც ეს წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა. ეს დღე ნიშნავს, რომ ყველას ერთად გვინდა, ქვეყანა სწორი მიმართულებით განვითარდეს და ჩვენი არჩევანი უნდა იყოს სწორი. ამისთვის საჭიროა, თანამოაზრეები ყოველგვარი აყალმაყალის, ჩხუბისა და ხელკეტების გარეშე შევიკრიბოთ და დავაფიქსიროთ ჩვენი აზრი. დღეს ყველაფერი ძალიან ცივილიზებულად და ნორმალურად ჩატარდება, — განაცხადა აქციის დაწყებამდე ხაჩიძემ.

**როგორც იქნა, დაუდგათ ნაციონალებს ნანატრი დღე, 19 აპრილი. ამ აქციის მოსაწყობად ისინი თებერვლიდან მოყოლებული ემზადებიან, გვპირდებოდნენ, რომ ეს იქნებოდა არნახული და ფართომასშტაბიანი აქცია. 19 აპრილის აქციაზე იმდენი ილაპარაკეს, რომ ხალხს, ცოტა არ იყოს, შეეშინდა კიდევაც. ვრცელდებოდა სხვადასხვა ცნობა მოსალოდნელ არეულობასთან დაკავშირებით. არეულობა ყურადღების მისაქცევად ნაციონალებს ჰაერივით ესაჭიროებოდათ.**



მისივე თქმით, აქციაზე შეიკრიბებიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ განსხვავებული აზრი აქვთ, რომლებიც ფიქრობენ, რომ „ოკუპაციის შესახებ კანონი“ არ უნდა გაუქმდეს.



— აქ შეიკრიბებიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ რუსი ჯაშუშები გარეთ არ უნდა გამოგვეშვა, ვინც ფიქრობს, რომ რუსეთთან თავდახრილი და კოცნა-პროშნის პოზიციაში არ უნდა ვიყოთ. სწორედ ამ იდეების გარშემო იქნება დღეს ტრიალი, — განაცხადა ხაჩიძემ.

პრეზიდენტის მიერ ნაჩუქარი სამაჯურის გამო სკანდალში გახვეული მარიამ საჯაია ხელისუფლებას პრეტენზიებს უყენებდა. დეპუტატ საჯაიას განცხადებით, 19 აპრილამდე ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ დღეს პარლამენტის წინ ხალხი არ მოსულიყო. მისი თქმით, საქართველო უნდა იყოს ევროპის ნაწილი და აქ შეკრებილ ხალხს მხოლოდ ეს სურს.

საჯაიაა თქმით, ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ მთავრობის ნებისმიერი არასწორი ნაბიჯი გაპროტესტდება.

ნაციონალების ერთ-ერთ ლიდერ მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, დღევანდელი აქციით ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებას თავის ფასეულობებს შეახსენებს.

— ვერ გამახსენებთ ვერც ერთ ოპოზიციურ პარტიას, რომელმაც არჩევნებში დამარცხებიდან ხუთ თვის თავზე ასეთი აქცია გამართა და საქართველოს ისტორიაში პირველად ჩვენ ვმართავთ ამ აქციას. ეს არავითარ შემთხვევაში არ არის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის დაწყებული კამპანია. დღეს, უბრალოდ, ხელისუფლებას „ნაციონალური მოძრაობის“ ფასეულობები უნდა შევახსენოთ. ეს არის ქართველი ხალხის ევროპული არჩევანი, — განაცხადა მაჭავარიანმა.

დეპუტატ აკაკი მინაშვილის განცხადებით, სამწუხაროა, რომ ხელისუფლება გუშინდელი აქციის ჩაშლას ცდილობდა.

— სამწუხაროა, რომ ხელისუფლება დღევანდელი აქციის ჩაშლას ცდილობდა. დღეს არის გამოხატულება იმისა, რომ საქართველომ თავისი საგარეო კურსი არ უნდა შეცვალოს. მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ შექმნა საფრთხეები. ეს ძალიან ცუდია. მთავრობას აქვს მცდელობა, რომ საქართველო რუსეთისკენ წაიყვანოს და სწორედ დღეს იქნება ტირაჟირება იმისა, რომ ეს ასე არ უნდა მოხდეს, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში მინაშვილმა.

აქციის დაწყებამდე კობა ხაბაზის დაგვპირდა, რომ ისინი აქციას მშვიდობიანად, კონსტიტუციის ფარგლებში ჩაატარებდნენ.

— კიდევ ერთხელ გავერთიანდეთ ის ადამიანები, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ევროპული ღირებულებები, საქართველოს დასავლური ორიენტაცია, კიდევ ერთხელ დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია ოკუპაციასთან დაკავშირებით ანუ კიდევ ერთხელ ვუთხრათ ყველამ ერთად ოკუპაციას — არა. ეს არის ჩვენი აქციის შინაარსი და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ადამიანი, ვინც იზიარებს ამას, შემოგვიერთდება. აქციას მშვიდობიანად, კონსტიტუციის ფარგლებში ჩავატარებთ, — განაცხადა ხაბაზმა.

აქციას ვანო მერაბიშვილი და გიგი უგულავა მოგვიანებით შეუერთდნენ. უგულავას გამოჩენას დიდი წიოკი მოჰყვა. ქალები ფეხდადგმულებივით კიოდნენ, გიგი, გიგიო.

თბილისის მერის დაცვა გიგის ფანებს ძლივს აკავებდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უგულავას უზრდელი დაცვა ჰყავს. მან ჟურნალისტები სულ ხელისკვრით მოიშორა. არადა, არც ერთს არ გაგვჩენია სურვილი, უგულავა ჩაგვეწერა.

ერთადერთი თემა, რაც გვაინტერესებდა, შესაძლოა, დიეტა ყოფილიყო, თუმცა გავარკვიეთ, რომ უგულავა დიეტით კი არ გახდა, არამედ ავსტრიაში სპეციალურ კურორტზე წავიდა სააკაშვილთან ერთად, რაც ბიუჯეტს 115 ათასი ლარი დაუჯდა.

აქციაზე თეა თუთბერიძეც მივიდა. ის ახალაიების დამცველია და მას არავინ ელოდა. თუთბერიძეს დიდი ოვაციებით არ შეხვედრიან, ისე რა მიესალმნენ.

აქცია მრავალრიცხოვანი არ გამოუვიდათ, მაგრამ ნაცმოძი მაინც ბედნიერი იყო. მათ გუშინ ახალი ეროვნული მოძრაობა დაიწყეს. თავად ასე თქვეს და რა დაიწყეს, მიდი და არკვიე.

და კიდევ ერთი — ყველას გვახსოვს მათი შეფასებები აქამდე გამართულ აქციებზე. აგვისტოს ომის შემდეგ ამბობდნენ, რა დროს აქციაა, როცა მტერი 40 კილომეტრშიაო. მტერი ახლაც იქ დგას და რა ნამუსით ჩატარდა ეს აქცია!

რუსთაველის გამზირზე „ნაციონალური მოძრაობის“ აქცია მიმდინარეობს. გაშლილ სივრცეში ადამიანების ოდენობას გუგლის სისტემით ითვლიან და ამ მეთოდით გაანგარიშების შედეგად, აქციის მონაწილეთა რაიოდენობა გუშინ 4-5 ათას კაცს შეადგენდა.

# საააკაშვილი უკანონო მოსმენებს აგრძელებს



საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ წყაროს ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი, უკანონო მოსმენებს დღემდე აგრძელებს და მას ამისთვის სპეციალური აპარატურა აქვს შეძენილი.

კონკრეტულად კი, გასული წლის 5 ოქტომბერს, სააკაშვილმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც შსს-ს სპეცკავშირები თავის დაქვემდებარებაში გადაიყვანა. ანუ სააკაშვილმა მოსმენების აპარატურასა და თანამშრომლებზე კონტროლი თავად დაიკანონა. უფრო ზუსტად კი, საქართველოს პრეზიდენტმა 5 ოქტომბერს ორი ბრძანებულება №924 და №925 გამოსცა, რომლებითაც სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოსა და სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტოს საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის ფუნქცია სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს გადაეცა.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ამას მოჰყვა ისიც, რომ შსს-დან, სააკაშვილის უშუალო მითითებით, სპეცდანიშნულების მოსასმენი ტექნიკა გაიტანეს. ეს აპარატურა იმ ფონდების მეშვეობით იყო შეძენილი, რომელიც ბიზნესმენებისთვის შეწერილი ფულით ივსებოდა და რაც მთავარია, ის არ ირიცხებოდა არც შსს-ს და საერთოდ არც ერთი სახელმწიფო უწყების ბალანსზე. შესაბამისად არავინ იცის, ამ გზით შეძენილ, რა რაოდენობის ტექნიკას ფლობდნენ სააკაშვილი და მერაბიშვილი.

როგორც „ნიუსპრესს“ აცნობეს, გარდა ამისა, არჩევნების შემდეგ შსს-ს ოტუს, ანუ მოსმენების განყოფილებაში არ შეცვლილა არც ერთი თანამშრომელი, რადგან ისინი კვალიფიციური კადრები არიან, თუმცა ბევრ მათგანს მერაბიშვილთან კავშირები ახლაც გააჩნია. მათ აქვთ შესაძლებლობა უკანონოდ მოუსმინონ ნებისმიერ მოქალაქეს, ხოლო ეს ჩანაწერები გადასცენ მერაბიშვილს.

მოკლედ, არავინ იცის, დღეს არალეგალურად ვის და რა სახის მოსასმენი აპარატურა გააჩნია და საერთოდ, რამდენ ადამიანს აქვს ტექნიკური აღჭურვილობა და შესაბამისად შესაძლებლობა, რომ უკანონო მოსმენები განახორციელოს.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, პროკურატურას გამოძიება დაწყებული აქვს. ძიების მიმართულებები კი ძირითადად შეეხება იმას, თუ ვინ, როდის და რა სახის მოსასმენი აპარატურა შემოიტანა ქვეყანაში და ვინ და რა სახის აპარატურა გაიტანა სამინისტროდან.

ჩვენი წყაროს ინფორმაციითვე, დაპატიმრებულია სპეცკავშირის ორი ყოფილი თანამშრომელი – ვინმე „ჰაკერა“ და ნ. მათი სახელების და გვარების დასახელებისგან წყარო თავს იკავებს.

არ არის გამორიცხული ისიც, რომ მერაბიშვილი და სააკაშვილი მოსმენებს ცალ-ცალკე ახორციელებდნენ და ორივე მათგანს საკუთარი აგენტურა ჰყავდეს.

წყაროს ინფორმაციითვე, მოსალოდნელია, რომ უახლოეს დღეებში, გამოჩნდება პირი, რომელიც იტყვის, რომ მუშაობს შსს-ს ოტუს სამსახურში და მას მოქმედი ხელისუფლება უკანონო მოსმენებს ავალებს, როგორც ეს სურმავას შემთხვევაში მოხდა, ამის დასადასტურებლად კი, შესაძლოა გამოქვეყნდეს „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების, უკანონო ჩანაწერები, რადგან მითი იმის შესახებ, რომ მოსმენებს ახალი ხელისუფლება ახორციელებს, – კიდევ უფრო გამყარდეს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, „ნიუსპრესი“ კომენტარისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ნინო გიორგობიანს დაუკავშირდა.

„სპეცკავშირები სამთავრობო დადგენილების ძალით, ჩვენს დაქვემდებარებაში აღარ არიან, რაც შეეხება ოპერატიულ-ტექნიკური სამსახურის თანამშრომლებს, გიდასტურებთ, რომ ისინი არ შეცვლილან.

ჩვენ რა თქმა უნდა საქმის კურსში ვართ საქართველოში მოსასმენი აპარატურის შემოტანასთან და სამინისტროდან მათი გატანის ფაქტთან დაკავშირებითაც. ამ ყველაფერზე გამოძიება მიმდინარეობს“ – განაცხადა გიორგობიანმა „ნიუსპრესთნ“ საუბარში.

ამავე საკითხთან დაკავშირებით, ჩვენთან საუბარში კომენტარი უშიშროების ყოფილმა მინისტრმა და „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრმა ირაკლი ბათიაშვილმაც გააკეთა, რომელმაც შესაძლებლობა, იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილი უკანონო მოსმენებს ახორციელებდეს, – დაადასტურა.

„მიხეილ სააკაშვილს ნამდვილად გააჩნია მოსასმენი აპარატურა, რომლითაც შეუძლია უკანონო სატელეფონო მოსმენები აწარმოოს, თუმცა იგი ფართო არეალის მოსმენებს ვერ განახორციელებს და მისთვის საინტერესო მხოლოდ რამდენიმე ასეული ადამიანის სატელეფონი ზარების გაკონტროლებას შეძლებს“– განაცხადა ბათიაშვილმა.

**გიორგი სხილაძე**
**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“**

# დასხრა(მეტებული) აქცია

**როლანდ ხოჯანაშვილი**
*„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო*

აგერ, ბატონო, ჩაიარა 19 აპრილმა. მართალია, არც ბევრი ყოფილა რუსთაველზე და არც ცოტა, მაგრამ თუ შეამჩნიეთ ვინმემ იხტიბარგაუტეხლობა „ნაციონალური მოძრაობის“ მამებს?! ორი თვეა, მგონი, რაც აანონსებდნენ აქციას და რა დრო იყო, ერთი სიტყვა ჰყოფნიდათ ათასიანი აქციისთვის მიშას. ეს მხოლოდ მიშას, თორემ დავით ბაქრაძეს არც ადრე ჰქონდა დიდი რეიტინგი და არც ახლა. მაღალზე ვდგავარ, მაგრამ ამის მიუხედავად, აქციის თავსა და ბოლოს ვერ ვხედავო,–სიხარულით წამოიკვნესა დედაქალაქის მთავარ პროსპექტზე ნასპიკერალმა ბაქრაძემ. ვინ ვინ და ბატონ დავითს დაავიწყდა, როგორ მოაცოცხინეს ჭიათურის ერთი სოფლიდან გლეხებმა: თქვენი გაკეთებული აქამდე არაფერი გვინახავს და ცხრა წელში რაც არ გვინახავს, იმას რომ ველარ ვიხილავთ, ეჭვი ალარ გვეპარებაო. როგორ მოგროვდა ამდენი უმადური მთიან სოფელში, წარმოგიდგენიათ?! უმადურობა თუ არა, როგორ ვერ უნდა დაენახათ მანდაეთლებს ის, რომ ნატოს კართან ვიყავით მისული და დასავლურ ფასეულობებზე ადვილად თუ არა, ფეხის წვერებზე მდგომები მაინც ვწვდებოდით!

დავანებოთ ახლა თავი ირონიას და 19 აპრილის დინამიკას გადავხედოთ. ისტების ორი ჯგუფი თავდაუზოგავად ამტკიცებდა: მოვდივართ და ვერ მივეტევით რუსთაველზეო; არიქა, კვახივით შუაზე გამსკდარი „ნაცმოძრაობა“ კი არა, მთელიც რომ იყოს, მაინც „კრუპნიი პლანი“ დასჭირდება ნაცვიზიებს ტრადიციულად თვალში ნაცრის შესაყრელადო. რომელი აღმოჩნდა ამათგან მართალი, ტელევიზიებს ვინც ადევნებდა თვალს, დადგენა არ გაუჭირდება. ისე, ეს „ნაცმოძრაობის“ ორად გახლეჩვა გარდა ახალაიების განცხადებებზე დაყრდნობისა შეიმჩნეოდა აქციაზეც: ვაშაძე ახსენებდა ეროვნული მოძრაობის დაწყებას. ანუ „ნაციონალურ მოძრაობას“, რომელიც ისედაც ეროვნულს ნიშნავს, ცალკე ხომ არ გამოეყოფა კიდევ „უფრო ეროვნული“ მოძრაობა?!

ბატონი ვაშაძეს, რომელიც არაჩვეულებრივად უძღვებოდა აქციას, დაავიწყდა როგორ ემსახურებოდა თავისი სანათესაოს ჩათვლით „ნაციონალურ მოძრაობას“. იქნებ ბატონმა გიორგიმ წაიკითხოს ეს სტატია და მამიდას დაეკითხოს, 1 ოქტომბრამდე რა დღეში აგდებდა „მეოცნებეებს“. ჭიათურის მაჟორიტარ კანდიდატი ჩიკვილაძის სარეკლამო პოსტერზეც რაღა მაინცდამაინც გიორგის მამიდა გამოსახეს, დეილია ჭიათურაში ქალები?–კითხულობდნენ მოქირქილე იმერლები.

ჩენები თოხს ეჯაჯგურებიან და ნახირს ერეკებიან შინისკენ. ეს შეგვიძლია ჩავთვალოთ ჩემს პედაგოგიურ კრახად! ისევ ირონია მომეძალა და ბოდიშს გიხდით!

რატომ მივიდა აქციაზე მოგვართ: ან გვიყვარს, ან გვძულს. მიშაზე შეყვარებულთაგან არაერთი ვნახე „გაბიძინებული“, ოღონდაც თავი გადაირჩინონ და სკამიდან ძირმომპალი სოკოებივით არ გადმოყარონ, ბიძინას კი არა, სატანასაც კი



ესეც ნეპოტიზმის ერთგვარ გამოვლინებად ჩაუთვალეს „ნაცმოს“, ადამიანებს ძალიან გვიყვარს დაბრალებანი და ესეც ნეპოტიზმში გამოჭერა!

ეს კიდევ არაფერი: საპარლამენტო ცხოვრებას რომ შეუშალეს ხელი არჩეულმა დეპუატატებმა და თვის ბოლოს იქნება ხელფასი უფრო ნაკლები, არ ედარდებათ?! რა ვიცი, ერთ დღეს რომ არაფერი დავწერო და გაზეთში არ გამოვაქვეყნო რამე, ყოველი ლარი გულზე მწარედ მხვდება და დავიჯერო, ათეულ-ასეული ლარის მოქვითვა არ აღონებთ?

ქუთაისში მოქცეული ადმინისტრაციული კორპუსი მთლიანად რომ წაბრძანდა აქციაზე, ვიღა ზრუნავდა სავარდო და სამაისო ქალაქის მოსახლეობაზე? მართალია, ქუთაისს მზრუნველი ხელისუფლება არც ახსოვს, მაგრამ პასუხის გამცემი ადამიანი არ უნდა იყოს გუბერნიის ცენტრში? ქუთაისიდან ალბათ კაკო ბობოხიძე გამოუძღვა 150 კაციან ამალას, მაგრამ ჭიათურიდან რამდენი კაცი წავიდა რუსთაველზე ევროპული ღირებულებების დასაცავად, ვერცერთმა წყარომ ვერ შემატყობინა. ჩემი საარჩევნო უბნიდან 4 ადამიანი წავიდა: ერთი საკრებულოს წევრი, სამიც–„ნაცმოს“ აქტივი. ამ სამმა 240-240 ლარი ჩაიხუტეს თავის დროზე და ვაი, შენ ჩემო თავო! მხოლოდ ეს სამი აღმოჩნდა ჩემი ნამოწაფართაგან, რომლებსაც ევროპა და ნატო ედარდებათ! დანარვიანებით პრეზიდენტი?! მაქვს ერთი ვერსია: თუ ძალიან ცოტა მივიდოდა აქციაზე, მიშაც არ გამოჩნდებოდა, რახან რამდენიმე ათასამდე გამოჩნდნენ, მომგებიანი სიტუაცია „გაიჩითა“ და ყველაზე ხანგრძლივი მქუხარე ტაში სააკაშვილისათვის გაისმა. მანამდე რაღაც უგემურად ერთი-ორჯერ წაუტყაპუნებდნენ ტაშს და ჯოოს, ჯოოოს-ო წამოიყვირებდნენ. ქარიზმა აქვს პრეზიდენტს, ეს უნდა ვაღიაროთ. ერთად არ მიუღიათ იმდენი ოვაცია ყველა დანარჩენ ლიდერს, რამდენიც მიუძღვნეს რუსთაველზე 19 აპრილს „ნაცმოს“ შემოქმედს.

ეს ყველაფერი თითქმის არაფერია, მთავარი კითხვა მაინც სულ სხვაა: რა უთხრა ამ აქციით „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საქართველოს მოსახლეობასა და მსოფლიოს?! იმას, რასაც ლაპარაკობდნენ ბატონი ნაციონალები, ეგენი არ ახალია. ყველა კამერის წინ ისმის: „რუსეთუმე“, ეკონომიკის დაქცევა, დემოკრატიული ღირებულებების უგულებელყოფა. სანდო და სარწმუნო ექსპერტები ამბობენ, რომ საქართველოს კურსი არ შეცვლილა, განუხრელად და ჯიუტად მივიწევთ ნატოსკენ, ევროკავშირისკენო. ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციას თავად დისკრედიტებული პოლიტიკური ძალა ვერ შეძლებს. ახლა მთავარია, რომ არსებული მხარდამჭერები არ დაკარგონ, მაგრამ შეძლებენ?! ჩვენ, ქართველები, მაქსიმალისტები ეთაყვანებიან.

წყალწაღებული ხავსს რომ ეჭიდებოდა, ეგ გამახსენა 19 აპრილის აქციამ. აღდგომა და ხვალეო, გათენდება მალეო, უთქვამს ჩვენს გონიერ წინაპარს. არც აღდგომაა შორს და მანამდე გამოიკვეთება კარგად კიდევ სულთმობრძავი პოლიტიკური ძალა გადარჩება თუ არა.

ჩემმა მეგობარმა იხუმრა: გლდანის საშაურმესთან უფრო მეტი ხალხი დგას ხოლმეო. ეგ ნამდვილად არ არის სწორი, მაგრამ რომელიღაც ტელევიზიის კამერამ გადმოგვცა საინტერესო პასაჟი: კარგად ჩასუქებულმა ახალგაზრდა კაცმა პრეზიდენტის სიტყვებით აღფრთოვანება წინ მდგომ ქალზე ხელების შეფათურებით დააგვირგვინა. ე, ბიჭო, დაგავიწყდა, საზოგადოებაში რომ ხარ და თან მარხვა რომაა?! (ირონია დღეს ჩემს იარაღად იქცა).

სულ ბოლოს ამოტივტივებულ მოგონებას დავწერ. „ნიანგი“ ჩემი საყვარელი ჟურნალი იყო და ერთხელ დაბეჭდა პრეზიდიუმის სურათი. პრეზიდიუმში ისხდნენ ბევრი, ხოლო დარბაზში მხოლოდ–დამლაგებელი. პრეზიდიუმის თავმჯდომარეს უჩურჩულეს: ეგეც დავსვათ პრეზიდიუმში, უხერხულიაო. თუ გამოაკლებდით პროსპექტზე გამოსულ ადამიანებს პოლიციას, მედიას და დამკვირვებლებს, იქნებ კი დატეულიყვნენ ერთად სცენაზე აქციის მონაწილეები...

# დათა ახალაია პროკურატურასთან ითანამშრომლებს?



ახალაია, თოფურიძე და ქარდავა საზღვართან არიან და ქვეყანაში ცალ-ცალკე შემოვლენ. ეს გადაწყვეტილება მათ 2 დღის წინ, გვიან ღამით სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე სამართალდამცავებისა და ჟურნალისტების მობილიზაციის შემდეგ მიიღეს.

ექსკლუზიური ინფორმაცია „პრაიმერს“ დათა ახალაიას თანმხლებმა პირმა მიაწოდა, რომელმაც ამ ეტაპზე საკუთარი ვინაობის გასაჯაროება არ ისურვა.

წყარო ადასტურებს, რომ განცხადება, რომელიც სოციალურ ქსელში გავრცელდა ნამდვილად დათა ახალაიას ეკუთვნის და ასევე, სიტყვა-სიტყვით გადმოგვცა დათა ახალაიას მონაყოლი:

„ჩვენ ჩვენმა თანამებრძოლებმა გაგვწირეს და იმ დროს მიგვატოვეს, როცა ძალიან გვჭირდებოდა მათი თანადგომა. ვანო მერაბიშვილს რომ ეგონა, „გვხმარობდა“, უკაცრავად გამოთქმისთვის, მაგრამ ეს მისი სიტყვებია, ახლა მთელი საქართველო დაინახავს, ვინ ვის „იხმარს“. ჩვენ ხელდამშვენებულები მოვდივართ. ვითანამშრომლებთ პროკურატურასთან არა იმიტომ, რომ შეგვიმსუბუქდეს სასჯელი, არამედ იმიტომ, რომ ქვეყანამ დაინახოს, რა დამართა საქართველოს ვანო მერაბიშვილმა. დედა მყავს ცუდად. არ მინდოდა მას გუშინ ტელევიზიით ენახა ჩემი დაკავების კადრები. საქართველოში დავბრუნდები და მადლობელი ვიქნები, თუ დედის ნახვის საშუალებას მომცემენ. ფარდას ავხდი შოკისმომგვრელ დანაშაულს და არა ერთს. არ გავურბივარ პასუხისმგებლობას, კანონს, მაგრამ გაცილებით დიდი სასჯელი დამემუქრებოდა სასჯელის არ შესრულების გამო“. იგივე წყარომ „პრაიმერს“ განუცხადა , რომ მათ მიიღეს დაზუსტებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვანო მერაბიშვილი გლდანის ციხეში ბაჩო ახალაიას ლიკვიდაციას გეგმავს. „პრაიმერი“ მიმართავს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრს სოზარ სუბარს, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ბაჩო ახალაიას უსაფრთხოებისთვის. იმავე წყარომ ჩვენ დაგვისახელა დათა ახალაის საქართველოში დაბრუნების სავარაუდო თარიღიც, მაგრამ იმის გამო, რომ ამას არ მოჰყვეს ხელახალი აჟიოტაჟი, დაკონკრეტებისაგან თავს ვიკავებთ.

**პრაიმერი**

# გიგა ბოკერია: „ნაციონალებში განხეთქილება არ არის“

უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია დათა ახალაიას განცხადებას აბსურდს და ბოდვას უწოდებს.

როგორც ბოკერიამ ჟურნალისტებს განუცხადა, „მსგავს ბოდვაზე კომენტარის გაკეთებას არ აპირებს“.

როგორც გიგა ბოკერიამ აღნიშნა, „ჩვენ მოვისმინეთ ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირის განცხადება, რომელიც არის აბსურდი, ბოდვა და მარაზმი და ეს ადამიანის დეგრადაციის მაჩვენებელია“.



უშიშროების საბჭოს მდივანი ასევე ბოდვას უწოდებს „ნაციონალურ მოძრაობაში“ განხეთქილების თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას.

**პირველი**

# საქართველოში ფალსიფიცირებული სამანქანე ზეთი შემოდის

შორენა გონგლაძე

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ორგანიზებით, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ კონფერენცია გაიმართა, სადაც განხილული იქნა საავტომობილო ზეთების ბაზარზე არსებული ვითარება.

კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ერთიანი საავტომობილო ადმინისტრაციის, სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს, სატრანსპორტო კომპანიის წარმომადგენლები, ექსპერტები, დამოუკიდებელი ლაბორატორიები, საავტომობილო ზეთების იმპორტიორი და რეალიზატორი კომპანიების ხელმძღვანელობა.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილის განცხადებით, კვლავინდებურად პრობლემად რჩება ზეთის ფალსიფიკაციის, სხვისი სამარკო ნიშნის გამოყენების საკითხი, რომელიც, სამწუხაროდ, საკმაოდ მაღალ ნიშნულზე დგას. აღნიშნული პრობლემა აზარალებს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტს, ასევე მომხმარებელსა და კომპანიებს.

– დღეს საავტომობილო ზეთების ბაზარზე არსებული ვითარება შეიძლება შეფასდეს, როგორც არადამაკმაყოფილებელი. ბოლო წლების პრობლემად კვლავ რჩება ზეთის ფალსიფიკაციის, სხვისი სამარკო ნიშნის გამოყენების საკითხი, რომელიც, სამწუხაროდ, საკმაოდ მაღალ ნიშნულზე დგას. აღნიშნული ფაქტების მასშტაბები არათუ მცირდება, პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ იზრდება. აღნიშნული პრობლემა აზარალებს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტს, ასევე მომხმარებელსა და თვით კომპანიებს. კერძოდ, ხდება ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ბრენდების მეორადი (გამონაცვალი) ზეთების როგორც მცირელიტრაჟიან, ასევე 200-ლიტრიან ჭურჭელში სხვა წარმოშობისა და დაბალი ხარისხის სითხის ჩასხმა და რეალიზება, როგორც ბრენდირებულის. ეს უკანასკნელი ქვეყანაში შემოდის სავსებით ლეგალურად ყველა საბაჟო პროცედურების გავლით. ამ საქმიანობით ძირითადად დაკავებული არიან საავტომობილო ზეთების გამოცვლის ობიექტები. თუ გადავხედავთ სტატისტიკურ მაჩვენებლებს, 2011 წელს საქართველოში სულ იმპორტირებულ იქნა 8 397 958, 75 კგ საავტომობილო ზეთი (სესსნ კოდი – 27101981000), მათ შორის ყველაზე დიდი წილი მოდის თურქეთზე – 2 522 750, 04 კგ, გერმანია – 1 753 085, 61 კგ, ირანი – 1 387 850 კგ, იმპორტის დანარჩენი წილი კი ნაწილდება სხვა ქვეყნებზე. 2012 წელს იმპორტირებულ იქნა 10 153 461, 59 კგ საავტომობილო ზეთი. მათ შორის, ყველაზე დიდი წილი – 2 926 309 კგ შემოვიდა ირანიდან, შემდეგ მოდის თურქეთი – 2 507 658, 02 კგ. გერმანია – 2 028 219, 94 კგ. იმპორტის დანარჩენი წილი ნაწილდება სხვა ქვეყნებზე. რაც შეეხება მიმდინარე წელს, I კვარტალის მაჩვენებლის მიხედვით, საქართველოში საავტომობილო ზეთის იმპორტმა შეადგინა 2 108 364, 14 კგ. მათ შორის, ყველაზე დიდი წილი მოდის თურქეთზე – 613 451, 43 კგ, ირანზე – 390 819 კგ, გერმანიაზე – 331 769, 82 კგ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს სატრანსპორტო პარკის რაოდენობა დინამიკურად იზრდება. კერძოდ, შსს-ის მონაცემების მიხედვით, 2007 წელს საქართველოში რეგისტრირებული მსუბუქი ავტომობილების ოდენობა შეადგენდა 517 574 ერთეულს, 2008 წელს – 603 380 ერთეულს, 2009 წელს – 647 209 ერთეულს, 2010 წელს – 693 873 ერთეულს, 2011 წელს – 745 232 ერთეულს. ჩვენი აზრით, საჭიროა ასევე საავტომობილო ზეთებზე გარკვეული ხარისხის სტანდარტის დაწესება ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილებების გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც საქართველოში აღნიშნულ სტანდარტზე დაბალი კატეგორიის ზეთის რეალიზაცია აკრძალული იქნება, – აცხადებს მთვრალაშვილი.

ვახტანგ იობაშვილი, კავშირის თავმჯდომარის მოადგილე:

– ჩვენ ყოველთვის ვსვამდით ამ საკითხს, თუმცა წინა ხელისუფლების დროს რეაგირება არ მოჰყოლია. დღეს ჩვენ გვაქვს იმედი იმისა, რომ ჩვენს დღევანდელ გზავნილს ხელისუფლება მიიღებს და შეძლებისდაგვარად დაგვეხმარება, რითიც საქართველოს ბაზარი გახდება უფრო მეტად უკეთესი. აქ წარმოდგენილია კომპანია „შევრონის“ წარმომადგენლები და ერთი მისასალმებელი ფაქტი მინდა აღვნიშნო, რომ კომპანია „შევრონმა“ „ვისოლ ჯგუფთან“ გააფორმა ხელშეკრულება ანუ საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილია მსოფლიო ბრენდი „შევრონი“.



გურამ დაფქვიაშვილი, კომპანია „ვიანორის“ დირექტორი:

– პრობლემები არის ძირითადად ორი მიმართულებით: ეს არის სტანდარტი. დღეს საქართველოში არ არსებობს სტანდარტი, რომელიც იძლევა საშუალებას, რომ ბაზარზე შემოვიდეს დაბალხარისხიანი პროდუქტი, რომელიც დღეს ქვეყანაში არსებული ავტოპარკისთვის საჭირო აღარ არის. ამ სიტუაციიდან არის ერთი გამოსავალი, რომ დაინერგოს ახალი სტანდარტი, რაც არის ევროპაში. ასევე მეორადი ზეთები წარმოადგენს პრობლემას. მეორადი ზეთები უნდა იყიდებოდეს დანიშნულების შესაბამისად და არ უნდა ხვდებოდეს პირველად ბაზარზე. საჭიროა ჩამოყალიბდეს სამუშაო ჯგუფები, რომლებიც დაიწყებენ მუშაობას სტანდარტების მიმართულებით და, ვფიქრობ, სტანდარტის დანერგვის შემთხვევაში შედეგები უმოკლეს დროში გამოჩნდება.

# რატომ ძალადობენ მშობლები შვილებზე

მერი ნამორაძე

ალბათ, იშვიათად მოიძებნება შემთხვევა, როცა მშობლის მიერ საკუთარი შვილის მიმართ ჩადენილი ძალადობა მეზობელს, პედაგოგსა თუ ოჯახის ექიმს გაეპროტესტებინა და შესაბამისი სტრუქტურები საქმის კურსში ჩაეყენებინა ძალადობის აღსაკვეთად. მთავარი არგუმენტი ერთია – როგორი მოძალადეც არ უნდა იყოს მშობელი, შვილს იგი მაინც მთელ ქვეყანას ურჩევნია და მშობლისა და შვილის ერთმანეთისგან დაშორება დიდ ტრაგედიად აღიქმება.

სახალხო დამცველის აპარატი სახელმწიფო რეზისტენტულ დაწესებულებებში, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები არიან განთავსებულნი, ოჯახში ძალადობის პრობლემით დაინტერესდა, რადგან, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის რეფერირების პროცედურების თანახმად, სკოლებისა და სპეციალიზებული დაწესებულებების უფლებამოსილებაა, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ადგილზე იქნეს შემთხვევა შესწავლილი და შეტყობინება გაკეთდეს პოლიციისა თუ სოციალური მომსახურების სააგენტოს მისამართით შემთხვევის შესახებ.

სამწუხაროდ, რეზიდენტულ დაწესებულებებში მცხოვრებ ბავშვთა მიმართ ოჯახში განხორციელებულ ძალადობაზე საუბრობს თითქმის ყველა სააღმზრდელო დაწესებულების პერსონალი. მაგალითად, №200 საჯარო სკოლის დაწესებულების ფსიქოლოგის თქმით, მასწავლებლები აწვდიდნენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ზოგიერთი მშობელი სცემს ბავშვს. ფსიქოლოგი თავადაც შესწრებია მშობლის მიერ ფიზიკური ძალადობის ფაქტს ბავშვის მიმართ პანსიონატში ვიზიტის დროს. დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის ინფორმაციით, ბავშვები არ საუბრობენ ძალადობაზე, მაგრამ, ამბობენ ხოლმე, რომ სახლში წასვლა არ სურთ. „ბავშვები ხელს იფარებენ თავზე, როცა მათ უახლოვდება მასწავლებელი, ალბათ, იმიტომ, რომ სახლში სცემენ. ის ბავშვი, რომელსაც ბებიამ სკოლის ეზოში სცემა, არის მცირედმხედველი“, – განაცხადა ფსიქოლოგმა.

ქუთაისის №45 საჯარო სკოლის ექიმის განმარტებით, მომხდარა ისე, რომ ბავშვი მოუყვანია მშობელს მცირედი დაზიანებებით, მაგრამ მშობელმა განაცხადა, რომ ბავშვმა თამაშის დროს მიიღო ეს დაზიანებები. შესაბამისად, პერსონალს არაფერი გადაუმოწმებია. „გვჯერა, რომ ასე იყო. თუ მნიშვნელოვნად დაზიანდება ბავშვი, მაშინ შევატყობინებთ ვინმეს“, – ამბობდა პერსონალი. როგორც აღმოჩნდა, სკოლა-პანსიონების პერსონალისათვის უცნობია ბავშვთა რეფერალური მექანიზმის ფარგლებში მის მიმართ არსებული შეტყობინების ვალდებულება. კერძოდ, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ სოციალური დაცვის მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრისა და განათლების მინისტრის ერთობლივი №152/ნ-49-45/ ბრძანების თანახმად, „სკოლების, სამედიცინო და ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებების ადმინისტრაცია და სოფლის ექიმები ვალდებულნი არიან, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ადგილზე მოახდინონ ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული გადაუდებელი მდგომარეობისა და ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის იდენტიფიკაცია და აწარმოონ შემთხვევის მართვა ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში. ძალადობის ეჭვის წყარო კი შეიძლება იყოს ბავშვზე სხეულის დაზიანებების არსებობა – სილურჯეები, ახალი ჭრილობები, ახალი ნაკაწრები, გაძნელებული სიარული, შეშუპებული სხეულის ნაწილები; ასევე ბავშვის საეჭვო ქცევა – აღგზნებულობა, დათრგუნულობა, შიშები, სკოლაში არარეგულარული სიარული, მოუვლელობა, სახლში დაბრუნებაზე უარის თქმა, ხასიათის რადიკალური შეცვლა, ასაკის შეუფერებლად სექსუალურობა.

სახალხო დამცველის აპარატში ამბობენ, რომ მონიტორინგის განმავლობაში ცხადი გახდა, რომ ყველა ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში დაწესებულებების თანამშრომლებს არა მხოლოდ შეეძლოთ, არამედ ჰქონდათ კანონისმიერი ვალდებულება, განეხორციელებინათ ადეკვატური და ბავშვის უსაფრთხოების საჭიროებიდან გამომდინარე რეაგირება, რაც მათ მიმართ არ იქნა განხორციელებული. ასე რომ, სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, უზრუნველყოს სკოლა-პანსიონების პერსონალის გადამზადება, რათა მათ შეძლონ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დაცვისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულება; უზრუნველყონ ბავშვთა დაცვის რეფერალური სისტემის ამოქმედება, რათა ნებისმიერ დასაბუთებულ ეჭვზე ბავშვის მიმართ ძალადობის ან უგულებელყოფის განხორციელების შესახებ შეტყობინება გაკეთდეს პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებში და აღკვეთილ იქნეს ძალადობა.

თუმცა, რა გასაკვირია პერსონალისგან მოძალადე მშობლების არგაკიცხვა, როცა ზოგჯერ თავადაც იყენებენ ცემას აღზრდის მეთოდად. მე-200 საჯარო სკოლის აღსაზრდელებისგან პრევენციული ჯგუფის ექსპერტებმა ინფორმაცია მიიღეს ბენეფიციარების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ. კერძოდ, 9 წლის მოზარდის ინფორმაციით, დაწესებულების თანამშრომლები სცემენ ბავშვებს, როცა მათ აბრაზებენ. ბავშვები დეტალურად აღწერენ სადამსჯელო საშუალებას. „ი. სახაზავით სცემს. სახაზავი მწარეა, პლასტმასისაა, გამჭვირვალეა“. ზემოაღნიშნული პერსონალი ბავშვებს ურტყამს სახეში, თავში, ხელებში, წიწკნის თმას. ხშირად სცემენ 10 წლის ბავშვს, რომელიც „არ იძინებს ხოლმე. მას რომ ურტყამენ, ჩვენ ვიძინებთ ხოლმე“. 10 წლის ბენეფიციარმა დაადასტურა მის მიმართ განხორციელებული ძალადობა: „ლ. მასწავლებელი მიწევს ხოლმე ყურებს, ყური მომახია, როცა გავაბრაზე – ტესტებს არ ვაკეთებდი და ვჯღაბნიდი“. 11 წლის ბავშვმა, როცა საუბარი შეეხო პერსონალის მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობას, დაიწყო ძლიერი ნერვიულობა, რაც გამოიხატა ხელების კანკალსა და წვალებაში, ხმის ტემბრის შეცვლასა და სახეზე წამოწითლებაში. იგი უარყოფდა ბენეფიციარებზე ყოველგვარ ზეწოლას, თუმცა განაცხადა, რომ ინტერვიუდან გამოსულ ბავშვებს მასწავლებლები ეკითხებოდნენ, თუ რაზე ესაუბრებოდნენ მათ პრევენციული ჯგუფის ექსპერტები.

თბილისის №203 საჯარო სკოლა-პანსიონში 9 წლის ბავშვთან გასაუბრებით გაირკვა, რომ „სამი ძიძიდან 2 ბრაზიანია. ისინი ბავშვებს სცემენ, თმებს წიწკნიან, ერთ-ერთი დიდ ჯოხს ურტყამს ბავშვებს, როდესაც ისინი არ იძინებენ. 9 წლის მოზარდის განცხადებით, როდესაც ბავშვები ლოგინებს ურევენ, მასწავლებლები მათ კედელთან აყენებენ, ურტყამენ და ხელებს უწითლებენ. ახალციხის №7 საჯარო სკოლაში, 13 წლის ბავშვის განცხადებით, არ უყვარს ე, „რომელიც სულ ყვირის ხოლმე, ტელევიზორს არ გვაყურებინებს, ეგრევე ლოგინში გვაგდებს, ცელქ ბავშვებს სცემს... ნ (სხვა ძიძა) ეუბნება, ნუ სცემ ბავშვებს, არ შეიძლება, დირექტორი დაგითხოვსო“.

# გასანადგურებლად განწირული ქონება

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

„მესამე სამყაროს“ ნაწილია ჩვენი სახელმწიფო და მას იმდენი ქონება ნამდვილად არ აქვს, რომ გასანადგურებლად გაიმეტოს ვინმემ. ნებისმიერ დასახლებულ პუნქტში შეიძლება წავაწყდეთ სახელმწიფო ან საპაიო ქონებას, რომელიც დღითიდღე ნადგურდება და კაპიტალურ ღირებულებას კარგავს. მუნიციპალიტეტების ცენტრებსა თუ პერიფერიებში თვალში მოგხვდებათ კომუნისტურ ეპოქაში აშენებული შენობები, რომელთა უმეტესობა არ გამოირჩევა არქიტექტურით, მაგრამ აქვს სიმტკიცე და დროში გამძლეობა. თვით ხრუშოვკებიც კი საექსპლოატაციო ვადაზე მეტხანს გამძლე აღმოჩნდა, მათ ახლაც იყენებენ საცხოვრებლად და საკუთარი ჭერით ადამიანები ასე თუ ისე კმაყოფილები არიან.

განსაკუთრებით „უპატრონო“ ქონებად იქცა საგანმანათლებო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა. დაცარიელებული სკოლები, სპორტდარბაზები და საქვაბეები იმდენად გასაცოდავებულად მოჩანს, რომ ძნელი წარმოსადგენია, მათ ოდესმე თუ რაიმე დანიშნულება ჰქონდათ. უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო, – ამბობს ქართული ანდაზა. მოსახლეობამ გაზიდა ის, რაც ფასეული და ადვილად გასატანი იყო ასეთი შენობებიდან. ორიოდე წლის წინ გაუქმებული ერთი სკოლის შენობას ყოველდღიურად აკლდებოდა ყველა სართულიდან მინები, შემდეგ ლითონის კონსტრუქციები, იატაკი, ფანჯრის ჩარჩოები, სახურავი. უზარმაზარი რკინა-ბეტონის ფილების ზომა-წონის გათვალისწინება მძარცველებს უწევთ და ჯერ კიდევ არ ეკარებიან... საერთოდ, კულტურულ-საგანმანათლებო შენობების არქიტექტურა ისეთია, რომ კომერციულ ფართად მათი გამოყენება მაინცდამაინც სასურველი არ არის, მაგრამ არქიტექტურულ „ტრანსფორმაციებს“ კიდევ შეძლებდნენ, მიტოვებული შენობების უმეტესობა კომერციულად მომგებიან ადგილებზე რომ იყოს.

საცხოვრებლადაც ნაკლებად ვარგისია ის ნაგებობები, რომლებიც ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. გასაყიდ შენობათა სიაში რამდენჯერაც არ უნდა შეიტანონ, ვთქვათ, რომელიმე სოფლის გაუქმებული დაწყებითი სკოლის შენობა, მისი მყიდველი ნაკლებად სავარაუდოა, რომ გამოჩნდეს. წლიდან წლამდე ამ შენობებს სახურავიდან საფუძვლამდე ხარისხი და მდგრადობა აკლდება. წვიმის და დიდთოვლობის ზემოქმედებით ერთ დროს ფუნქციური შენობების ადგილას მხოლოდ სამშენებლო ნაგვის გროვები რჩება. როცა ქვეყანას დაახლოებით 250 ათასი იძულებით გადაადგილებული პირი ჰყავს და ეკომიგრანტებს საცხოვრებლების კანონიერი მოდავეები გამოუჩნდნენ წალკაში, იქნებ დროულად დაფიქრდეს სახელმწიფო და ის ობიექტები, რომლებიც არ არის პერსპექტიული გაყიდვის თვალსაზრისით, უფასოდ გადასცენ შეჭირვებულ მოსახლეობას?!

ქუთაისში, ავტოქარხნის ტერიტორიაზე კიდევ ერთი საწყობი აღმოაჩინეს, რომელიც დევნილთათვის საჭირო ნივთები ინახებოდა. მინისტრმა დარახველიძემ დაათვალიერა აღნიშნული საწყობი და განაცხადა, რომ 2008 წელს დაზარალებულთათვის განკუთვნილი ტექნიკის ნაწილი ინახებოდა ამ საცავში, ნაწილი კი რეალიზებულია. შემდგომი მოკვლევისათვის საქმე სამართალდამცავებს გადაეცათ, მაგრამ საოჯახო ტექნიკაზე მეტად დევნილებს სახლი სჭირდებათ, რომელშიც თავისი შრომით ადვილად შეიტანენ საყოფაცხოვრებო ნივთებს. უსახლკარო ადამიანებისთვის ზოგჯერ ზედმეტი ბარგია ფერადი ტელევიზორი და მაცივარი, რომლებსაც დამხრჩვალი კნუტებივით დაათრევენ მითვისებული ფართიდან მისათვისებელ ფართამდე.

ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდიდან ამ ინფორმაციის მიღება ძნელი არაა: „აღნიშნული მომსახურება გულისხმობს სახელმწიფოს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემას“ (საუბარია სახელმწიფო ქონების გადაცემაზე).

სახელმწიფო ქონების განკარგვა უძრავ-მოძრავ ქონებას ეხება და სხვადასხვა ფორმით შეიძლება მოხდეს ეს აქტი: პრივატიზებით, მართვის უფლებით გადაცემით, რეალიზაციით, ლიზინგის ფორმით გადაცემით, განაწილებით, განადგურებით.

გასულ რამდენიმე წელში ყველა ის ქონება, რომელსაც ჰქონდა კომერციული პერსპექტივა, პრივატიზებული იქნა ელექტრონული აუქციონის ან პირდაპირი მიყიდვის ფორმით. ამჯერად ნამდვილად არ ვაპირებ იმაზე ყურადღების გამახვილებას, თუ რა სიმახინჯეები ახლდა ქონების პრივატიზებას და ვის ხელში აღმოჩნდა მილიონობით ღირებულების მატერიალიები კაპიკებად. რაც შეეხება ქონების გადაცემის სხვა ფორმებს, მათ ნაკლებად იყენებდნენ, რადგან მათი გამოყენება მოსახლეობის აშკარა გაღიზიანების იწვევდა (უნდა ვთქვათ, რომ არც ლარად ქონების გადაცემა სიამოვნებდა საზოგადოებას).

აუქციონის შედეგებთან დაკავშირებულ სადაო და ბათილად ცნობის საკითხებს, კანონმდებლობის მიხედვით, განიხილავდა სასამართლო, რომელიც ისევე ჰყავდათ შემსყიდველებს ჩასმული ჯიბეში, როგორც საპრივატიზაციო ქონების „მსუყე ნაჭრები“.

რაც შეეხება საპაიო ქონებას, ამ მიმართულებით კიდევ უფრო რთულადაა საქმე, რადგან თუ სახელმწიფო ქონების შემთხვევაში ერთ იურიდიულ პირთან – სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე, საპაიო ქონების გასხვისება ბევრად უფრო რთულდება რამდენიმე მეპატრონის ხელში. გასული საუკუნის 90-იან წლებში დაშლილმა კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა ვერ მოახერხეს დროულად ფერმების, საწყობების, ადმინისტრაციული შენობების თუ სხვა ნაგებობების გაყიდვა. უმეტესად ყოფილმა ხელმძღვანელებმა მოძრავი ქონება ხელთ გაიყოლეს, მაგრამ უძრავი ქონება უპატრონობით ყოველწლიურად ნადგურდებოდა. სამწუხარო რეალობაა, რომ ასეთი შენობები ძირითადად სოფლის ცენტრებშია და უფუნქციობის გარდა არაესთეტიკური ეფექტითაც გამოირჩევა.

მეპაიეთა უმეტესობას არ აქვს გააზრებული, რომ ის ქონება, რომელიც ყოველდღიურად პარტახდება, შესაძლებელია გააზრებულად გაცემის შემთხვევაში სარგებლის მომტანიცაა, თუმცა მეპაიებზე მეტად უფუნქციო შენობების უფასოდ მოსახლეობაზე გაცემა სახელმწიფომ უნდა იზრუნოს.

დასაკონკრეტებლად თუნდაც ერთ ფაქტს დავასახელებ: ჭიათურაში, გაგარინის ქუჩაზე მდებარე ყოფილი მერვე საჯარო სკოლა ამჟამად გაუქმებულია, მართალია, მთლიანად განადგურებულია ინფრასტრუქტურა, მაგრამ გამოჩნდა ადამიანი, რომელიც თვლის, რომ ამ შენობის გადმოცემის შემთხვევაში მიუსაფარ ადამიანთათვის შექმნის ნამდვილ ოაზისს.

ასეთი შენობებისათვის პატრონის გამოძებნა საშური საქმეა. თუ მათ არ უჩნდება მყიდველი, იქნებ საჩუქრად გადაცემაც ზედმიწევნით სარგებლიანი იყოს.

# რაში ხარჯავდა კულტურის სამინისტრო ფულს

ეკა ირემაშვილი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დარღვევებთან დაკავშირებით მორიგი ინფორმაცია გაასაჯაროვა. ამჯერად, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან მიიღო 2012 წელს დაწყებული და ამ პერიოდისთვის დასრულებული ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშები. ინსტიტუტის განმარტებით, მათთან არსებული აუდიტის ანგარიშებიდან უარყოფითი მოსაზრებების სიუხვით განსაკუთრებით გამორჩეულია 2013 წლის 21 თებერვლით დათარიღებული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს აუდიტის ანგარიშში წარმოდგენილია მათ მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული უზუსტობები და ნაკლოვანებები. სამინისტროს მხრიდან გარკვეული ღონისძიებების დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოთხოვილია თანხები იმ პირობებში, როდესაც მათთვის ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო ღონისძიებებზე გასაწევი მთლიანი ხარჯების ოდენობა, ასევე სპონსორებიდან და ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების ოდენობა, რომელთა შორის სხვაობაც უნდა შეადგენდეს ბიუჯეტიდან მოსათხოვი თანხის ოდენობას.

ასეთი სახით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოთხოვნილია 1 368 100 ლარი. მათ შორის დაუსაბუთებლად მოთხოვნილია და სამინისტროს მიერ გადახდილია შპს „ისთერნ პრომოუშენისათვის" ბათუმის ჯაზფესტივალის ჩასატარებლად 1 104 000 ლარი. შპს „ისთერნ პრომოუშენსის" ცნობით, სამინისტროსგან მიღებული თანხის გარდა აღნიშნული ღონისძიების შემოსავალმა შეადგინა 577 500 ლარი (სპონსორებისგან 164 100 ლარი, ბილეთების რეალიზაციით 413 400 ლარი). ჯაზფესტივალის დაფინანსებისას სამინისტრო არ ფლობდა ინფორმაციას დამატებითი ხარჯების შესახებ და რა მოგება დარჩა ორგანიზატორს ღონისძიებიდან, რომლის ფაქტობრივი გენერალური სპონსორი თვითონ იყო. მიუხედავად ჯაზფესტივალის ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებისა (65%) შპს „ისთერნ პრომოუშენსმა", შპს „ინტერნეიშენალ ივენთან" გაფორმებული ხელშეკრულებით, ღონისძიების გენერალურ სპონსორად კანონდარღვევით (არასათანადო რეკლამის საშუალებით) გამოაცხადა სს „საქართველოს ბანკი", რომლის წილიც ღონისძიების დაფინანსებაში შეადგენდა 46 000 ლარს (2,7%).

აუდიტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კომენტარი საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საქველმოქმედო ფონდის დაფინანსებასთან დაკავშირებით: საინტერესოა, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში ზედმეტად გადახდილმა თანხამ 602 300 ლარი შეადგინა.

კერძოდ, სამინისტროსა და შპს „ისთერნ პრომოუშენსს" შორის გაფორმებული 2011 წლის 22 მარტის №149 ხელშეკრულების (თანხით 1 264 700 ლარი, 750 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში) მიხედვით, შპს „ისთერნ პრომოუშენსს" დაევალა 2011 წლის 3 ივლისს ბათუმში კრის ბოტისა და სტინგის კონცერტის ორგანიზება. შპს „ისთერნ პრომოუშენსის" მიერ ქვე-კონტრაქტორებთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით სტინგის ჰონორარი შეადგენდა 300 000 აშშ დოლარს, ხოლო კრის ბოტის 90 000 აშშ დოლარს.

გარდა ამისა, შპს „ისთერნ პრომოუშენს" უნდა მოეხდინა 375 000 აშშ დოლარის ოდენობის 1 500 დასაჯდომი ბილეთის რეალიზაცია (ერთეულის ფასი 250 აშშ დოლარი). გაყიდული ბილეთებიდან 100 000 დოლარით დამატებით უნდა გაზრდილიყო სტინგისა და კრის ბოტის ჰონორარი (თითოეულს 50 000 აშშ დოლარი), ხოლო დანარჩენი (275 000 აშშ დოლარი) უნდა გახარჯულიყო საქველმოქმედოდ.

თუმცა, სამინისტრომ „ისთერნ პრომოუშენს" დაგეგმილი 1 500 ბილეთის ნაცვლად სარეალიზაციოდ გადასცა მხოლოდ 200 ცალი ფეხზე დასადგომი და 858 დასაჯდომი ბილეთი (სულ დამზადებული 2 610 ბილეთიდან). დანარჩენი 1 552 ბილეთი სამინისტრომ გადასცა პრეზიდენტის ადმინისტრაციას, რის შედეგადაც შემოსულმა თანხამ, ნაცვლად 375 000 აშშ დოლარისა, შეადგინა მხოლოდ 344 000 ლარი. აღნიშნული თანხა გადაირიცხა საქველმოქმედოდ, ხოლო სტინგისა და კრის ბოტის დამატებითი ჰონორარები (100 000 აშშ დოლარი) ანაზღაურდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის კონცერტის ბილეთების გადაცემამ გამოიწვია სახელმწიფო ბიუჯეტიდან 227 900 ლარის დამატებითი ხარჯის გაწევა (100 000 აშშ დოლარის დამატებითი ჰონორარები და დანარიცხები).

სამინისტროს მხრიდან ზედმეტად გადახდილ თანხებს ჰქონდა ადგილი ასევე 2011 წლის 31 დეკემბერს ხულიო იგლესიასის მონაწილეობით საახალწლო კონცერტის ორგანიზებისას, რომ-




ლისთვისაც სულ გადახდილი იქნა 4 134 300 ლარი. როგორც ანგარიშიდან ირკვევა, სამინისტრომ ხელშეკრულებები №660 და №735 გააფორმა შპს „ისთერნ პრომოუშენთან" 2011 წლის პირველ ნოემბერს და 6 დეკემბერს (თანხით 1.735.3 ათასი აშშ დოლარის და 761.0 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში), რომელსაც დაევალა ზემოთ ხსენებული ღონისძიების ორგანიზება. შპს „ისთერნ პრომოუშენს" საახალწლო კონცერტზე მონაწილეობის მიზნით გაფორმებული ჰქონდა კონტრაქტი ამერიკელ არტისტ კაროლინ კემბელთან, თანხით 110 000 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხიდან 50 000 აშშ დოლარი – მონაწილეობისთვის, 50 000 აშშ დოლარი – დავალიანებისთვის, რომელიც ხელშეკრულებაში დაკონკრეტებული არ იყო, ხოლო 10 000 აშშ დოლარი წარმოადგენდა კრის ბოტის ტურნეს მიმართ ვალდებულების გამოსასყიდს, რომელიც ასევე არ იყო დეტალურად განმარტებული. პასუხისმგებელი პირების და საბუღალტრო დოკუმენტების შემოწმებით გაირკვა, რომ ზემოაღნიშნული დავალიანება (50 000 აშშ დოლარი) სამინისტროს არ ერიცხებოდა, მისი წარმოშობის და ვალდებული სუბიექტის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვებოდა. ინფორმაციას არ ფლობდნენ არც „ისთერნ პრომოუშენის" პასუხისმგებელი პირები. შედეგად სამინისტროს მხრიდან ზედმეტად გადახდილია არარსებული დავალიანება 115 900 ლარი. ამ საახალწლო კონცერტის დაფინანსების კანონიერების შემოწმებით გაირკვა, რომ კონცერტის ორგანიზების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულ იქნა სხვა სახის ზედმეტი ხარჯიც – ვიდეოგადაღების განსახორციელებლად შპს „ჰორიზონ ტვ სტუდიის", როგორც ზედმეტი რგოლის ჩართვის შედეგად. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, მათ შორისაა საახალწლო კონცერტის ვიდეოგადაღება და საზოგადოებისთვის მიწოდება. ამ და სხვა ფუნქციების შესასრულებლად მას სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი აქვს შესაბამისი ასიგნება და ის ვალდებული იყო საახალწლო კონცერტის ვიდეოგადაღება განეხორციელებინა კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე. ღონისძიების ორგანიზატორმა შპს „ისთერნ პრომოუშენმა" ვიდეოგადაღების მიზნით გააფორმა ხელშეკრულება „ჰორიზონ ტვ სტუდიოსთან", რისთვისაც გადაუხადა 75.0 ათასი ლარი, რომლის შესაბამისობაც გაწეული მომსახურების რეალურ ღირებულებასთან ასევე ვერ იქნა დადასტურებული და აღნიშნული ხარჯი ჩართო სამინისტროსთვის წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში. წარმოდგენილი დოკუმენტებით გაირკვა, რომ „ჰორიზონ ტვ სტუდიას" ვიდეოგადაღება განხორციელებული აქვს საზოგადოებრივი მაუწყებლის ტექნიკის (მოძრავი სატელევიზიო სადგური) და ტექნიკური პერსონალის გამოყენებით. შედეგად სამინისტროს ბიუჯეტიდან ზედმეტად გახარჯულია 75.0 ათასი ლარი.

ამ აუდიტის შედეგად ცნობილი ხდება ისიც, რომ კულტურის სამინისტროს აპარატის მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში სხვადასხვა მომწოდებლებზე 2010 წელს წინასწარი გადახდების შესაბამისი ფაქტობრივი ხარჯვის დოკუმენტები წარმოდგენილ იქნა 2011 წელს. მათ შორის, ანდრეა ბოჩელის კონცერტის ორგანიზება ბათუმში. აუდიტის შედეგად ცნობილი ხდება, რომ ანდრეა ბოჩელის გადაეცა 1.606 ათასი; არჩივოქს ესელერს – 214.8 ათასი ლარი; პენტაგონ მიუზიკ მენეჯმენტ ლიმიტედს – 334.8 ათასი და პიტერ ბასლერ ბასიტურს – 194.7 ათასი. მესტიაში საახალწლო ღონისძიებისთვის „უკრაინული ახალი წელი საქართველოში" დაიხარჯა 176.0 ათასი; ფიზიკური პირი დავით-დეფი გოგიბედაშვილი – 18.000 ლარი, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი – 200 000 ლარი, ააიპ საქველმოქმედო ფონდი „ხელოვანები თანადგომისათვის" (ფონდის ფუნქციონირებისა და საქველმოქმედო ღონისძიებების ჩატარებისთვის) – 502 500 ლარი. ბუღალტრული ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი არარეზიდენტების მიერ საქართველოში გაწეული მომსახურება 2010 წელსაც არ დაბეგრილა უკუდაბეგვრის წესით დღგ-თი, რის შედეგადაც ბიუჯეტში გადაუხდელმა თანხამ შეადგინა 454.6 ათასი ლარი.

არასრულყოფილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე თანადაფინანსების სახით მოთხოვნილია და სამინისტროს მიერ გადახდილია შპს „ჰორიზონტ ტვ სტუდიისთვის" 24 000 ლარი ლელა წურწუმიას კონცერტის ტექნიკურად უზრუნველსაყოფად.

არასრულყოფილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე თანადაფინანსების სახით მოთხოვნილია და სამინისტროს მიერ გადახდილია სსიპ „თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრისთვის" 190 000 ლარი თეატრალური ფესტივალის ჩასატარებლად.

შპს „ლაშა-2007"-თან გაფორმებული იქნა 31 ხელშეკრულება სატრანსპორტო მომსახურებების გაწევასთან დაკავშირებით. სულ გადახდილია 50 100 ლარი. აღსანიშნავია, რომ არც ხელშეკრულებებში და არც მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის მითითებული, თუ რა სახის სატრანსპორტო მომსახურებები იქნა გაწეული.

ანგარიშში წარმოდგენილია ფაქტები, როდესაც ხელშეკრულებები გაფორმებულია ღონისძიებების ჩატარების შემდგომ. მაგალითად, 2011 წლის 2 აგვისტოს ბათუმში, კონცერტ ემთივი ჯორჯია ლაივში ჯგუფ „სტეფანე და 3ჯი" მონაწილეობისთვის ერთ საღამოში ფიზიკური პირის სტეფანე მღებრიშვილისთვის გადახდილია 25 000 აშშ დოლარი (ხელშეკრულება №730), ხოლო იმავე კონცერტში ჯგუფ „ელდრაინის" მონაწილეობისთვის ფიზიკური პირისთვის, სერგო სულაძისთვის გადახდილია 12 500 აშშ დოლარი (ხელშეკრულება №731). ზემოაღნიშნული ხელშეკრულებები გაფორმდა 2011 წლის 5 დეკემბერს კონცერტის გამართვიდან 4 თვის შემდეგ.

აქვე ირკვევა, რომ „საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების მხარდაჭერის ღონისძიებების" პროგრამის ფარგლებში ემტივი ნეტვორქს ეუროპესთან 2011 წლის 26 იანვარს გაფორმებული №44 ხელშეკრულებისა და შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპთან" გაფორმებული 2011 წლის 28 იანვრის №52 ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპს" დაევალა ემთივი ჯორჯიან ლაივის კონცერტის ორგანიზება ბათუმში. სამინისტროს მიერ სულ გადახდილია 1 394.5 ათასი ლარი. მათ შორის არარეზიდენტი საწარმოსთვის (ემთივი ნეთვორქ ეუროპ) 1.235.5 ათასი ლარის ეკვივალენტი აშშ დოლარი და 158.9 ათასი ლარის საშემოსავლო გადასახადი. პირველ ეტაპზე 2011 წლის 31 იანვარს გადახდილი არარეზიდენტი საწარმოს 904.4 ათასი ლარის შემოსავალი დაბეგრილია არა 15%-იანი განაკვეთით (გადახდის პერიოდისთვის მოქმედი ნორმა), არამედ 10%-იანი განაკვეთით. შედეგად დაბეგვრამ შეადგინა 100.5 ათასი ლარი, ნაცვლად 150.7 ათასი ლარისა (სხვაობა 50.2 ათასი ლარი). გარდა ამისა, სამინისტროს მიერ უკუდაბეგვრის წესით დღგ-თი დაბეგრილი არ არის არარეზიდენტი საწარმოს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურება, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტში გადაუხდელმა თანხამ შეადგინა 260.0 ათასი ლარი.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ უზუსტობებსა და ნაკლოვანებებში ასევე ვხვდებით დაუსაბუთებელი გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით განხორციელებულ შესყიდვებს, ტენდერების გამოცხადებისას პრეტენდენტებისათვის წაყენებული პირობების არათანმიმდევრულობისა და შეფასების კრიტერიუმების დაუსაბუთებლობის ფაქტებს, არაგონივრულად მცირე დროის მონაკვეთში დადებულ ხელშეკრულებებს და სამუშაოს მიღების ფაქტებს. მაგალითად, კახეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ტურისტული ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №2574 განკარგულების შესაბამისად დაევალა მუნიციპალური განვითარების ფონდს. თავის მხრივ, ფონდმა აღნიშნული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციით უზრუნველყოფის თაობაზე ხელშეკრულების გასაფორმებლად მიმართა თხოვნით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. სააგენტომ კულტურის მინისტრისგან შესყიდვის გამარტივებული წესით წარმოების მიღების შემდეგ გაუგზავნა წერილი 7 კომპანიას, რომლებსაც, სავარაუდოდ, უკვე უნდა ჰქონოდათ მზა პროექტები. ხელშეკრულების გაფორმება შვიდივე კომპანიასთან განხორციელდა ერთ დღეს – 2011 წლის 28 დეკემბერს, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა მეორე დღესვე 2011 წლის 29 დეკემბერს.

ანგარიშში წარმოდგენილია ასევე სამინისტროს მიერ გადასახადების არასწორი გაანგარიშებისა და დაბეგვრის ფაქტები. ბუღალტრული ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი არარეზიდენტების მიერ საქართველოში გაწეული მომსახურება არ დაბეგრილა უკუდაბეგვრის წესით დღგ-თი, რის შედეგადაც ბიუჯეტში გადაუხდელმა თანხამ 454 600 ლარი შეადგინა.

სამინისტროსა და საქველმოქმედო ფონდს „ხელოვანები თანადგომისთვის" შორის 2011 წლის 24 თებერვალს გაფორმებული №108 ხელშეკრულების (თანხით 300.0 ათასი ლარი) მიხედვით შემსრულებელს დაევალა უზრუნველეყო სახელშეკრულებო თანხის მიზნობრივად ხარჯვა წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. ბიუჯეტიდან ფინანსური მხარდაჭერის საჭიროების არგუმენტად ფონდის მიერ მოყვანილია „საქველმოქმედო ფონდის ფუნქციონირება". ქველმოქმედება მიზნად ისახავდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში არსებული ხელოვნების სკოლის მასწავლებელთათვის თებერვლიდან დეკემბრის ჩათვლით ხელფასების დანიშვნას, რისთვისაც ფონდის ადმინისტრაციული ხარჯები დაფინანსებულია 123.7 ათასი ლარით, ხოლო დანარჩენი 176.0 ათასი ლარი გაწერილია რეგიონებში ხელოვნების სკოლებისათვის მასწავლებელთა ხელფასებზე, რომელიც მერყეობს 125 ლარიდან 437 ლარამდე, მაშინ, როცა ფონდის ხელმძღვანელების მიერ საკუთარი ხელფასები (პროექტის მენეჯერი და ხელმძღვანელი) განისაზღვრა 1.678 ლარიდან 2.250 ლარამდე. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტიდან გამოყოფილი მთლიანი თანხიდან ფონდის მიერ 123.7 ათასი ლარი (41.2%) გახარჯულია არა საქველმოქმედოდ, არამედ საკუთარი მიზნებისთვის. სამინისტროს მიერ ზემოაღნიშნული სკოლების დაფინანსების აუცილებლობად ჩათვლის შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნებოდა დაფინანსება განხორციელებულიყო პირდაპირი გზით, რითაც მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა ბენეფიციარებამდე მისული თანხის ოდენობა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლიც.

ანგარიშში გამოაშკარავებულია ისეთი ფაქტები, როდესაც სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერებიდან პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია ხდებოდა კანონმდებლობის დარღვევით. მაგალითად, ლიტერატურული გაზეთის გამოცემაზე გამოცხადებულ გამარტივებულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა: შპს „კვირის პალიტრამ" (115 000 ლარი) და ააიპ „ლიტერამ" (135 600 ლარი). მიუხედავად დაბალი ფასისა, სატენდერო კომისიის მიერ შპს „კვირის პალიტრა" დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მის მიერ წარმოდგენილი არ იქნა გამოცემის შესაბამისი თექვსმეტგვერდიანი მაკეტი. ხოლო, ააიპ „ლიტერამ" კომისიას წარუდგინა იანვრის თვეში გამოცემული გაზეთის 42-ე ნომერი, რითაც ფაქტობრივად დასტურდება, რომ ტენდერის დამთავრებამდე მას უკვე გამოცემული ჰქონდა გაზეთი.

საინტერესოა აგრეთვე, რომ ანგარიშის მიხედვით, სამინისტროში მომუშავეთათვის 2011 წელს დარიცხული პრემიების ოდენობა მერყეობს 300-დან 78 920 ლარამდე. ამავე დროს, ანგარიშში წარმოდგენილი ჩანაწერით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიერ პრემიის აღება ხდებოდა კანონმდებლობის დარღვევით.

ანგარიშში ირკვევა, რომ კულტურის სამინისტროს მიერ ანაზღაურებულია მომსახურების ღირებულება თვითღირებულებაზე დარიცხული არაგონივრული ოდენობის ფასნამატით. სამინისტროს აპარატის მიმდინარე საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად გათვალისწინებული ასიგნებებისა და მათ მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში – 165.0 ათასი ლარი; საახალწლო კონცერტით ლედ მონიტორით ორდღიანი მომსახურებისთვის შპს „სინქროტელისთვის" შპს „ისთერნ პრომოუშენის" საშუალებით გადახდილია 42.0 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით. აღნიშნული ტარიფი გაანგარიშებულია მონიტორის ფართის მიხედვით. შპს „სინქროტელის" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და ახსნა-განმარტებით ირკვევა, რომ აღნიშნული ტექნიკის (ელექტროგენერატორის ჩათვლით) საბაჟო ღირებულებამ შეადგინა 86.1 ათასი აშშ დოლარი. განბაჟების ხარჯების ჩათვლით თვითღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 170.6 ათასი ლარი (შესაბამისი კურსით). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული ტარიფი არაგონივრულად მაღალია, რადგან 10 დღიანი მომსახურებით მიღებული შემოსავლით მთლიანად იფარება ინვესტიცია.

სამინისტროს მიერ შპს „სოუნდ სითისთვის" №465/1 ხელშეკრულების ფარგლებში („ანაკლია 24 საათის" საზეიმო ღონისძიების მომსახურება) გადახდილია დღგ-ს ჩათვლით 43.0 ათასი ლარი. შპს „სოუნდ სითის" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით გაირკვა, რომ მომსახურების თვითღირებულებამ შეადგინა 12.3 ათასი ლარი. ხარჯთაღრიცხვაში ჩადებულმა მოგებამ 24.1 ათასი ლარი. თვითღირებულებაზე ფასნამატმა შეიდგინა 196%. იმავე შპს „სოუნდ სითისთვის" №150 ხელშეკრულების ფარგლებში (ბათუმის ჯაზფესტივალი) შპს „სოუნდ სითისთვის" შპს „ისთერნ პრომოუშენის" მიერ გადახდილია დღგ-ს ჩათვლით 73.0 ათასი ლარი. დოკუმენტაციის წარდგენის შედეგად გაირკვა, რომ მომსახურების თვითღირებულებამ შეადგინა 27.4 ათასი ლარი. ხარჯთაღრიცხვაში ჩადებულმა მოგებამ 34.5 ათასი ლარი, თვითღირებულებაზე ფასნამატმა შეადგინა 126%. №735 ხელშეკრულების ფარგლებში (საახალწლო კონცერტი) შპს „სოუნდ სითისთვის" შპს „ისთერნ პრომოუშენის" მიერ გადახდილია დღგ-ს ჩათვლით 30.0 ათასი ლარი. დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე გაირკვა, რომ მომსახურების თვითღირებულებამ შეადგინა 4.8 ათასი ლარი, ხარჯთაღრიცხვაში ჩადებულმა მოგებამ 20.6 ათასი ლარი, თვითღირებულებაზე ფასნამატმა შეადგინა 429%.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ის ძირითადი ნაკლოვანებები, რომლებიც დაკავშირებულია 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მუშაობასთან.

# ტურინი მილანის წინააღმდეგ



## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.04 | სანდერლენდი-ევერტონი | 3.5 | 3.25 | 2.15 |
| 20.04 | სუონსი-საუთჰემპტონი | 2.25 | 3.4 | 3.1 |
| 20.04 | ქპრ-სტოკი | 2.2 | 3.2 | 3.4 |
| 20.04 | ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი | 2.2 | 3.4 | 3.2 |
| 20.04 | ნორვიჩი-რედინგი | 1.7 | 3.8 | 4.8 |
| 20.04 | ვესტ ჰემი-უიგანი | 2.15 | 3.4 | 3.3 |
| 20.04 | ფულემი-არსენალი | 4.5 | 3.8 | 1.73 |
| 21.04 | ტოტენჰემი-სიტი | 2.9 | 3.5 | 2.3 |
| 21.04 | ლივერპული-ჩელსი | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 22.04 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.25 | 6.0 | 11.0 |

### სანდერლენდი-ევერტონი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-ფილიპ ბიორდსლი, ტიტუს ბრამბლი, სტივენ ფლეტჩერი, ლიი კატერმოლი, ვესლი ბრაუნი

ევერტონი: ***ტრავმ***-ტონი ჰიბერტი, ლეონ ოსმანი

### სუონსი-საუთჰემპტონი

სუონსი: ***ტრავმ***-ნეილ ტეილორი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ჯული დო პრადო, კელვინ დევისი, რიჩარდ ჩაპლოუ, ლუკ შოუ

### ქპრ-სტოკი

ქპრ: ***ტრავმ***-არმან ტრაორე, შონ რაიტ-ფილიპსი, ლუკ იანგი

სტოკი: ***ტრავმ***-მეთიუ ეტერინგტონი, მარკ უილსონი

### ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ლიამ რიდველი, პეტერ ოდემვინჯი, ზოლტან გერა

ნიუკასლი: ***ტრავმ***-რობ ელიოტი, ტიმ კრული, დავიდე სანტონი, ფაბრიციო კოლოჩინი, რაიან ტეილორი

### ნორვიჩი-რედინგი

ნორვიჩი: ***ტრავმ***-ენტონი პილკინტონი, ბრედლი ჯონსონი, ენდრიუ სურმანი, ჯონ რუდი

რედინგი: ***ტრავმ***-ადამ ფედერიკი, ჰოუპ აკმანი, ჯიმი კებე, ჯეისონ რობერტსი

### ვესტ ჰემი-უიგანი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ჯეიმს ტომკინსი, კარლტონ კოული, ჯორჯ მაკკარტნი

უიგანი: ***ტრავმ***-ივან რამისი, ბენ უოტსონი, ალბერტ ხრუსატი

### ფულემი-არსენალი

ფულემი: ***ტრავმ***-დამიენ დაფი, აშკან დეიაგა, მაჰამადუ დიარა

არსენალი: ***ტრავმ***-ლუკაშ ფაბიანსკი, აბუ დიაბი

### ტოტენჰემი-სიტი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ვილიამ გალასი, ჯერმეინ დეფო, აარონ ლენონი, გარეტ ბეილი, იუნის ქაბული, სანდრო

სიტი: ***ტრავმ***-სერხიო აგუერო, დავიდ სილვა

### ლივერპული-ჩელსი

ლივერპული: ***ტრავმ***-რაემ სტერლინგი, ჯო ალენი, ფაბიო ბორინი, მარტინ კელი

ჩელსი: ***ტრავმ***-მარკო მარინი, ეშლი კოული, გარი კეიჰილი, ორიოლ რომეუ

### მანჩესტერი-ასტონ ვილა

მანჩესტერი: ***ტრავმ***-პოლ სქოულზი, ეშლი იანგი, კრის სმოლინგი, დამიენ ფლეტჩერი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-გაბრიელ აგბონლაჰორი, კრის ჰერდი, მარკ ალბრაიტონი, გარი გარდნერი, სტილიან პეტროვი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 33 | 26 | 3 | 4 | 75:35 | 81 |
| 2.სიტი | 32 | 20 | 8 | 4 | 58:27 | 68 |
| 3.ჩელსი | 32 | 18 | 7 | 7 | 64:33 | 61 |
| 4.არსენალი | 33 | 17 | 9 | 7 | 64:35 | 60 |
| 5.ტოტენჰემი | 32 | 17 | 7 | 8 | 55:40 | 58 |
| 6.ევერტონი | 33 | 14 | 14 | 5 | 51:37 | 56 |
| 7.ლივერპული | 33 | 13 | 11 | 9 | 59:40 | 50 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 32 | 13 | 5 | 14 | 42:43 | 44 |
| 9.სუონსი | 32 | 10 | 11 | 11 | 43:42 | 41 |
| 10.ფულემი | 33 | 10 | 10 | 13 | 44:51 | 40 |
| 11.ვესტ ჰემი | 33 | 10 | 9 | 14 | 38:47 | 39 |
| 12.საუთჰემპტონი | 33 | 9 | 11 | 13 | 47:54 | 38 |
| 13.ნიუკასლი | 33 | 10 | 6 | 17 | 42:59 | 36 |
| 14.ნორვიჩი | 33 | 7 | 14 | 12 | 31:52 | 35 |
| 15.სანდერლენდი | 33 | 8 | 10 | 15 | 37:45 | 34 |
| 16.სტოკი | 33 | 7 | 13 | 13 | 28:41 | 34 |
| 17.ასტონ ვილა | 33 | 8 | 10 | 15 | 36:60 | 34 |
| 18.უიგანი | 32 | 8 | 7 | 17 | 37:58 | 31 |
| 19.ქპრ | 33 | 4 | 12 | 17 | 27:54 | 24 |
| 20.რედინგი | 33 | 5 | 9 | 19 | 36:63 | 24 |

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.04 | გრანადა-ვალიადოლიდი | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 20.04 | რეალი-ბეტისი | 1.3 | 5.5 | 9.0 |
| 20.04 | ბარსელონა-ლევანტე | 1.2 | 7.0 | 12.0 |
| 20.04 | ვალენსია-მალაგა | 1.6 | 4.0 | 5.5 |
| 21.04 | ხეტაფე-ესპანიოლი | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 21.04 | დეპორტივო-ბილბაო | 2.2 | 3.4 | 3.2 |
| 21.04 | ოსასუნა-სოსიედადი | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 21.04 | სევილია-ატლეტიკო | 2.45 | 3.25 | 2.9 |
| 22.04 | სელტა-სარაგოსა | 2.0 | 3.4 | 3.75 |

### გრანადა-ვალიადოლიდი

გრანადა: ***ტრავმ***-ჰასან იებდა, დანიელ ბენიტესი; ***დისკვ***-იასინ ბრაჰიმი

ვალიადოლიდი: ***ტრავმ***-არავინ

### რეალი-ბეტისი

რეალი: ***ტრავმ***-ალვარო არბელოა, მაიკლ ესიენი; ***დისკვ***-ხაბი ალონსო

ბეტისი: ***ტრავმ***-ნოსა იგიებორი, პერეს ნაჩო, მარიო, ედერ ვილარჩაო

### ბარსელონა-ლევანტე

ბარსელონა: ***ტრავმ***-მანუელ პინტუ, სერხიო ბუსკეტსი, ლეო მესი, ხავიერ მასკერანო, კარლეს პუიოლი

ლევანტე: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ვინსენტ იბორა

### ვალენსია-მალაგა

ვალენსია: ***ტრავმ***-ტინო კოსტა; ***დისკვ***-რიკარდო კოსტა

მალაგა: ***ტრავმ***-ჯერემი ტულანანი, პედრო მორალესი

### ხეტაფე-ესპანიოლი

ხეტაფე: ***ტრავმ***-ხავი ტორესი, სერხიო ესკუდერო, ადრიან კოლუნგა, მიგელ ანხელ მოია; ***დისკვ***-ალექსისი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ფელიპე მატიონი, სამუელ ლონგო; ***დისკვ***-რაულ როდრიგესი

### დეპორტივო-ბილბაო

დეპორტივო: ***ტრავმ***-კარლოს მარჩენა, ნელსონ ოლივეირა, ზე კასტრო, აბელ აგილარი, რიკი, ლაურე

ბილბაო: ***ტრავმ***-ფერნანდო ამორებიეტა, რუიზ დე გალარეტა, ინიგო პერესი

### ოსასუნა-სოსიედადი

ოსასუნა: ***ტრავმ***-ანტონი ანანი, სისი; ***დისკვ***-მარკ ბერტანი

სოსიედადი: ***ტრავმ***-რუბენ პარდო, დავიდ ზურუტუზა; ***დისკვ***-ილარამენდი

### სევილია-ატლეტიკო

სევილია: ***ტრავმ***-კამპანა, პიოტრ ტროხოვსკი; ***დისკვ***-ფედერიკო ფაციო, გარი მედელი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ტიაგო, არდა თურანი

### სელტა-სარაგოსა

სელტა: ***ტრავმ***-სერხიო ალვარესი, უგო მალო, სამუელ ლორკა; ***დისკვ***-იაგო ასპასი

სარაგოსა: ***ტრავმ***-ხავი ალამო, ივან ობრადოვიჩი; ***დისკვ***-ალვარო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 31 | 26 | 3 | 2 | 98:33 | 81 |
| 2.რეალი | 31 | 21 | 5 | 5 | 80:29 | 68 |
| 3.ატლეტიკო | 31 | 20 | 5 | 6 | 56:25 | 65 |
| 4.სოსიედადი | 31 | 15 | 9 | 7 | 57:39 | 54 |
| 5.ვალენსია | 31 | 14 | 8 | 9 | 47:45 | 50 |
| 6.მალაგა | 31 | 14 | 8 | 9 | 44:32 | 50 |
| 7.ბეტისი | 31 | 14 | 6 | 11 | 47:46 | 48 |
| 8.ხეტაფე | 31 | 12 | 8 | 11 | 39:46 | 44 |
| 9.რაიო | 31 | 14 | 2 | 15 | 40:51 | 44 |
| 10.სევილია | 31 | 12 | 6 | 13 | 48:45 | 42 |
| 11.ესპანიოლი | 31 | 10 | 10 | 11 | 40:42 | 40 |
| 12.ლევანტე | 31 | 11 | 7 | 13 | 35:50 | 40 |
| 13.ვალიადოლიდი | 31 | 10 | 8 | 13 | 40:44 | 38 |
| 14.ბილბაო | 31 | 10 | 5 | 16 | 34:56 | 35 |
| 15.ოსასუნა | 31 | 8 | 7 | 16 | 26:36 | 31 |
| 16.დეპორტივო | 31 | 7 | 8 | 16 | 42:64 | 29 |
| 17.გრანადა | 31 | 7 | 7 | 17 | 28:50 | 28 |
| 18.სარაგოსა | 31 | 7 | 6 | 18 | 28:49 | 27 |
| 19.მალიორკა | 31 | 7 | 6 | 18 | 33:63 | 27 |
| 20.სელტა | 31 | 6 | 6 | 19 | 29:46 | 24 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.04 | ჯენოა-ატალანტა | 1.95 | 3.3 | 4.0 |
| 20.04 | უდინეზე-ლაციო | 2.4 | 3.2 | 3.0 |
| 21.04 | ინტერი-პარმა | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 21.04 | ნაპოლი-კალიარი | 1.44 | 4.2 | 7.5 |
| 21.04 | კატანია-პალერმო | 2.37 | 3.25 | 3.0 |
| 21.04 | ფიორენტინა-ტორინო | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 21.04 | რომა-პესკარა | 1.2 | 6.5 | 13.0 |
| 21.04 | სიენა-კიევო | 2.05 | 3.2 | 3.75 |
| 21.04 | ბოლონია-სამპდორია | 2.15 | 3.0 | 3.8 |
| 21.04 | იუვენტუსი-მილანი | 1.73 | 3.6 | 4.75 |

### ჯენოა-ატალანტა

ჯენოა: ***ტრავმ***-ემილიანო მორეტი, დამიანო ფერონეტი, მარკო როსი; ***დისკვ***-მარკო ბორიელო, ხუან ვარგასი

ატალანტა: ***ტრავმ***-ფრანკო ბრიენზა, დავიდე ბიონდინი, რიკარდო კაზოლა, კრისტიან რაიმონდი, იგორ ბუდანი, ჯანპაოლო ბელინი, გვიდო მარილუნგო; ***დისკვ***-გერმან დენისი, კარლოს კარმონა

### უდინეზე-ლაციო

უდინეზე: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ლუის მურიელი

ლაციო: ***ტრავმ***-კრისტიან ლედესმა, სენად ლულიჩი, ბრუნო პერეირა, ანდრე დიასი, აბდულაიე კონკო, კრისტიან ბროკი; ***დისკვ***-ლორიკ კანა

### ინტერი-პარმა

ინტერი: ***ტრავმ***-რიკარდო ალვარესი, ვალტერ გარგანო, იოტო ნაგატომო, ხუანი, ანტონიო კასანო, როდრიგო პალასიო, კრისტიან კივუ, დეიან სტანკოვიჩი, დიეგო მილიტო, ჟოელ ობი, გაბი მუდინგაი, ლუკა კასტელაცი

პარმა: ***ტრავმ***-რაფაელ პალადინო, მაკდონალდ მარიგა; ***დისკვ***-გაბრიელ პალეტა

### ნაპოლი-კალიარი

ნაპოლი: ***ტრავმ***-ლეანდრო რინაუდო; ***დისკვ***-უგო კამპანარო, მორგან დე სანქტისი

კალიარი: ***ტრავმ***-ანდრეა კოსუ, ფრანჩესკო პისანო, ვლადა ავრამოვი; ***დისკვ***-მაურისიო პინილია, დანიელე კონტი

### კატანია-პალერმო

კატანია: ***ტრავმ***-პიეტრო ტერაჩიანო, ფაბიო სკიაცა

პალერმო: ***ტრავმ***-ფაბრიციო მიკოლი, იოსიპ ილიჩიჩი, ანდრეა დოსენა, ანდრეა მანტოვანი

### ფიორენტინა-ტორინო

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ლუკა ტონი, სტეფან სავიჩი, სტევან იოვეტიჩი, მატიას ფერნანდესი, აჰმედ ეგაზი; ***დისკვ***-მანუელ პასკუალი

ტორინო: ***ტრავმ***-მატეო ბრიგი

### რომა-პესკარა

რომა: ***ტრავმ***-მირალემ პიანიჩი, დანიელე დე როსი; ***დისკვ***-ნიკოლას ბურდისო, ფრედერიკო ბალძარეტი

პესკარა: ***ტრავმ***-ფრანჩესკო მოდესტო, მილტონ კარალიო, გაეტანო დაგოსტინო, პერ კროლდრუპი, ლუჩანო ძაური, ანტონიო ბოკეტი, უროს კოსიჩი, ვლადიმირ ვეისი; ***დისკვ***-ჯუზეპე სკული

### სიენა-კიევო

სიენა: ***ტრავმ***-არავინ

კიევო: ***ტრავმ***-მარიო სამპირისი, ფრანჩესკო აკერბი, ნიკოს სპიროპულოსი

### ბოლონია-სამპდორია

ბოლონია: ***ტრავმ***-პანაგიოტის კონე, ლაზაროს ხრისტოდოლოპულოსი, ალესანდრო დიამანტი, დიეგო პერესი, ჩეზარე ნატალი

სამპდორია: ***ტრავმ***-ნენად კრსტიჩი, ედერი; ***დისკვ***-ანდრეა კოსტა, ლორენცო დე სილვესტრი

### იუვენტუსი-მილანი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ჯორჯო კიელინი, ნიკოლას ანელკა, სებასტიან ჯოვინკო, ნიკლას ბენდტნერი, სიმონე პეპე

მილანი: ***ტრავმ***-ბოიან კრკიჩი, კევინ-პრინს ბოატენგი, იგნასიო აბატე, ნაიჯელ დე იონგი; ***დისკვ***-მეტიუ ფლამინი, მარიო ბალოტელი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 32 | 23 | 5 | 4 | 63:20 | 74 |
| 2.ნაპოლი | 32 | 18 | 9 | 5 | 58:30 | 63 |
| 3.მილანი | 32 | 17 | 8 | 7 | 56:35 | 59 |
| 4.ფიორენტინა | 32 | 16 | 7 | 9 | 58:39 | 55 |
| 5.რომა | 32 | 15 | 6 | 11 | 63:53 | 51 |
| 6.ლაციო | 32 | 15 | 6 | 11 | 40:39 | 51 |
| 7.ინტერი | 32 | 15 | 5 | 12 | 50:45 | 50 |
| 8.უდინეზე | 32 | 12 | 12 | 8 | 44:39 | 48 |
| 9.კატანია | 32 | 13 | 8 | 11 | 40:37 | 47 |
| 10.კალიარი | 32 | 11 | 9 | 12 | 39:49 | 42 |
| 11.პარმა | 32 | 10 | 9 | 13 | 39:42 | 39 |
| 12.ბოლონია | 32 | 10 | 8 | 14 | 42:41 | 38 |
| 13.სამპდორია | 32 | 10 | 8 | 14 | 37:39 | 37 |
| 14.ატალანტა | 32 | 11 | 6 | 15 | 34:47 | 37 |
| 15.ტორინო | 32 | 8 | 13 | 11 | 40:43 | 36 |
| 16.კიევო | 32 | 10 | 6 | 16 | 32:48 | 36 |
| 17.სიენა | 32 | 9 | 9 | 14 | 34:44 | 30 |
| 18.პალერმო | 32 | 5 | 13 | 14 | 29:45 | 28 |
| 19.ჯენოა | 32 | 6 | 10 | 16 | 32:50 | 28 |
| 20.პესკარა | 32 | 6 | 3 | 22 | 24:66 | 21 |

შენიშვნა:

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა

ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა

ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა

სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.04 | ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 20.04 | დორტმუნდი-მაინცი | 1.53 | 4.2 | 6.0 |
| 20.04 | ჰანოვერი-ბაიერნი | 5.0 | 4.0 | 1.65 |
| 20.04 | ჰამბურგი-ფორტუნა | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 20.04 | აინტრახტი-შალკე | 2.87 | 3.6 | 2.3 |
| 20.04 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 2.1 | 3.6 | 3.25 |
| 21.04 | შტუტგარტი-ფრაიბურგი | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 21.04 | ნიურნბერგი-ფიურტი | 1.75 | 3.6 | 4.8 |

### ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ქარიმ ბელარაბი; ***დისკვ***-ომერ ტოპრაკი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-პელე იანსენი, ერენ დერდიუკი, ვიჩენცო გრიფო, გომესი, დავიდ აბრაჰამი, ბორის ვუკჩევიჩი

### დორტმუნდი-მაინცი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-სებასტიან კელი, პატრიკ ოვომოიელა

მაინცი: ***ტრავმ***-იან კირჰოფი, ჰაინს მიულერი, ნიკო ბუნგერტი, ჩინედი ედე, ივან კლასნიჩი

### ჰანოვერი-ბაიერნი

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ფელიპე, მარიო ეგიმანი, ლეონ ანდრეასენი

ბაიერნი: ***ტრავმ***-მარიო მანჯუკიჩი, ტონი კროოსი, ჰოლგერ ბადშტურბერი

### ჰამბურგი-ფორტუნა

ჰამბურგი: ***ტრავმ***-მარკუს ბერგი, ჟი ჯინ ლამი; ***დისკვ***-მაქსიმილიან ბეისტერი

ფორტუნა: ***ტრავმ***-ადამ ბოდზეკი, რონი გარბუშევსკი, ტუგრულ ერატი, მატის ბოლი

### აინტრახტი-შალკე

აინტრახტი: ***ტრავმ***-ალექსანდერ მეიერი, სონი კიტელი, კევინ ტრაპი, მარკ-ოლივერ კემპი; ***დისკვ***-სებასტიან იუნგი

შალკე: ***ტრავმ***-კრისტოფ მეცელდერი, ჯეფერსონ ფარფანი, ჩინედი ობასი, ლარს უნერსტალი, იბრაჰიმ აფელაი, კირიაკოს პაპადოპულოსი

### ვერდერი-ვოლფსბურგი

ვერდერი: ***ტრავმ***-ოზკან ილდირიმი, ტომ ტრიბული, ჯოზეფ აკპალა, ნიკლას ფულკრუგი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-სოტირიოს კირიაკოსი, ივან პერიშიჩი

### შტუტგარტი-ფრაიბურგი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-დანიელ დიდავი, თუნაი თორუნი, კაკაუ, მამადუ ბა

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-მარკო ტერაცინო, სებასტიან ფრეისი

### ნიურნბერგი-ფიურტი

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-ტიმო გებჰარტი, მარკუს ანტონიონი; ***დისკვ***-ხავიერ პინოლა

ფიურტი: ***ტრავმ***-ჰაინრიხ შმიტგალი, სებასიან ტირალა, ზოლტან შტიბერი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 29 | 25 | 3 | 1 | 83:13 | 78 |
| 2.დორტმუნდი | 29 | 17 | 7 | 5 | 72:35 | 58 |
| 3.ლევერკუზენი | 29 | 14 | 8 | 7 | 53:38 | 50 |
| 4.შალკე | 29 | 13 | 7 | 9 | 50:45 | 46 |
| 5.ფრაიბურგი | 29 | 12 | 9 | 8 | 39:34 | 45 |
| 6.აინტრახტი | 29 | 12 | 6 | 11 | 42:42 | 42 |
| 7.გლადბახი | 29 | 10 | 11 | 8 | 36:39 | 41 |
| 8.ჰამბურგი | 29 | 12 | 5 | 12 | 34:45 | 41 |
| 9.მაინცი | 29 | 10 | 9 | 10 | 36:34 | 39 |
| 10.ჰანოვერი | 29 | 11 | 5 | 13 | 50:49 | 38 |
| 11.ნიურნბერგი | 29 | 9 | 11 | 9 | 33:39 | 38 |
| 12.შტუტგარტი | 29 | 10 | 6 | 13 | 31:46 | 36 |
| 13.ვოლფსბურგი | 29 | 8 | 10 | 11 | 35:45 | 34 |
| 14.ვერდერი | 29 | 8 | 8 | 13 | 45:56 | 32 |
| 15.ფორტუნა | 29 | 7 | 9 | 13 | 35:45 | 30 |
| 16.აუგსბურგი | 29 | 6 | 9 | 14 | 27:44 | 27 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 29 | 6 | 6 | 17 | 35:54 | 24 |
| 18.ფიურტი | 29 | 2 | 9 | 18 | 19:52 | 15 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.04 | მარსელი-ბრესტი | 1.36 | 4.33 | 9.5 |
| 21.04 | ბასტია-ლილი | 3.25 | 3.3 | 2.2 |
| 21.04 | სოშო-ბორდო | 2.75 | 3.2 | 2.6 |
| 21.04 | ტულუზა-ლორიენი | 2.1 | 3.2 | 3.6 |
| 21.04 | ნანსი-ევიანი | 2.05 | 3.25 | 3.75 |
| 21.04 | რეიმსი-ვალანსიენი | 2.2 | 3.25 | 3.3 |
| 21.04 | პსჟ-ნიცა | 1.44 | 4.0 | 8.5 |

### მარსელი-ბრესტი

მარსელი: ***ტრავმ***-პაპე მბოუ

ბრესტი: ***ტრავმ***-ბენუა ლესო, ჟოფრი დერნისი, აბელ ჰალედი

### ბასტია-ლილი

ბასტია: ***ტრავმ***-ტოიფილო მალუიდა, მეტიუ სანსი, იასინ ელ-აზოუზი, იანიკ კაუზაკი

ლილი: ***ტრავმ***-ტულიო დე მელო, რიო მავუბა, რაიან მენდესი

### სოშო-ბორდო

სოშო: ***ტრავმ***-ედუარდ ბუტინი, კალილუ ტრაორე, ლიონელ ზუმა, პიერიკ კროსი, ტიერი დუბაი

ბორდო: ***ტრავმ***-კარლოს ენრიკი, ლანდრი ნგუემო

### ტულუზა-ლორიენი

ტულუზა: ***ტრავმ***-ჩეიკ მბენგუე, ედენ ბენ ბასატი

ლორიენი: ***ტრავმ***-არნო ლე ლანი

### ნანსი-ევიანი

ნანსი: ***ტრავმ***-ტომას აიასე, გოუნდი ასემბე, ჯუნიორ ხოაკიმი, ზირი ჰამარი

ევიანი: ***ტრავმ***-ჯონათან მენსა, დიოგო, ჯაკარიჯა კონე, სიდნეი გოვუ, ალდო ანგულა, სტეფან ანდერსენი, ალი მადი

### რეიმსი-ვალანსიენი

რეიმსი: ***ტრავმ***-გაეტან კურტი, ნიკოლას დე პრევილი, ოდაირ ფორტესი, ფლორენტ ჩისოლფი, ჟულიენ ტუდიჩი

ვალანსიენი: ***ტრავმ***-მარკო და სილვა, ნიკოლას ისიმატ-მირინი, გრეგორი პუიოლი, ანტონი ლე ტალეკი

### პსჟ-ნიცა

პსჟ: ***ტრავმ***-კლემენტ ჩანტომი, ჯერემი მენეზი

ნიცა: ***ტრავმ***-იორის დელე, გრეგუარ პუიოლი, ფაბიენ დაო კასტელანა, ხავიერ პენტეკოტე, დიაჩკო ფოფანა; ***დისკვ***-ვინსენტ ეისერიჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 32 | 20 | 7 | 5 | 57:20 | 67 |
| 2.მარსელი | 32 | 17 | 7 | 8 | 36:32 | 58 |
| 3.ლიონი | 32 | 16 | 8 | 8 | 52:34 | 56 |
| 4.სენტ ეტიენი | 32 | 14 | 12 | 6 | 51:25 | 54 |
| 5.ნიცა | 32 | 15 | 9 | 8 | 48:37 | 54 |
| 6.ლილი | 32 | 14 | 11 | 7 | 48:31 | 53 |
| 7.მონპელიე | 32 | 14 | 6 | 12 | 49:41 | 48 |
| 8.ლორიენი | 32 | 12 | 11 | 9 | 52:51 | 47 |
| 9.ბორდო | 32 | 11 | 13 | 8 | 33:28 | 46 |
| 10.რენი | 32 | 12 | 6 | 14 | 43:47 | 42 |
| 11.ტულუზა | 32 | 10 | 11 | 11 | 40:41 | 41 |
| 12.ბასტია | 32 | 11 | 6 | 15 | 43:60 | 39 |
| 13.რეიმსი | 32 | 9 | 10 | 13 | 31:37 | 37 |
| 14.ვალანსიენი | 32 | 9 | 10 | 13 | 41:48 | 37 |
| 15.აიაჩო | 32 | 8 | 13 | 11 | 33:41 | 35 |
| 16.ევიანი | 32 | 8 | 10 | 14 | 38:46 | 34 |
| 17.სოშო | 32 | 8 | 8 | 16 | 32:50 | 32 |
| 18.ნანსი | 32 | 7 | 10 | 15 | 30:48 | 31 |
| 19.ბრესტი | 32 | 8 | 5 | 19 | 29:50 | 29 |
| 20.ტრუა | 32 | 4 | 13 | 15 | 36:55 | 25 |

შენიშვნა:

აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა

# თორნიკე შენგელია ამერიკელ ჟურნალისტს ხინკლის ჭამას ასწავლის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

– ყველა სხვადასხვა სტილის კალათბურთელია და თითოეული მათგანისგან ბევრს ვსწავლობ.

**_– თავისუფალ დროს როგორ ატარებ?_**

– ვარჯიშის შემდეგ თავისუფალი დრო საკმარისად მაქვს. აქ მყავს მეგობრები, რომლებთანაც ხან ოჯახში ვარ, ხან კინოთეატრში მივდივარ, ხანაც – რესტორანში.

**_– ქართული რესტორანი ბრუკლინშიც ხომ არ მოგიძებნია?_**

– რა თქმა უნდა. აქ 3-4 რესტორანია, სადაც ქართული კერძების გასინჯვა შეიძლება, თუმცა ისეთი გემო ნამდვილად არ აქვს, როგორიც საქართველოში.

**_– რას ანიჭებ უპირატესობას?_**

– მიყვარს ხაჭაპური...

**_– ოო, მეც ძალიან მომწონს ხაჭაპური. ცომში ყველი რომ დევს, ხომ?_**

– დიახ. კიდევ ხინკალი...

**_– ხინკალიც მიჭამია, მეც მიყვარს._**

– ხინკალი ორივე ხელით უნდა დაიჭირო და ისე შეჭამო, რომ წვენი არ დაიქცეს. ძალიან გემრიელია.

**_– ყველაზე მეტად საქართველოდან რა გენატრება?_**

– მშობლიური ქალაქი, იქაური ატმოსფერო...

# ბოსტონის ტერაქტის მოწყობაში ეჭვმიტანილები ჩეჩენი ძმები არიან



ბოსტონის მარათონის დროს ტერაქტის მოწყობაში ეჭვმიტანილები ჩეჩენი ძმები არიან. ამის შესახებ ადგილობრივი მედია იუწყება.

გავრცელებული ინფორმაციით, ეჭვმიტანილთაგან ერთ-ერთი ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სტუდენტი, 19 წლის ჯოხარ ცარნაევია, რომელსაც პოლიცია ამ დრომდე ეძებს. მეორე ეჭვმიტანილი, მისი ძმა პოლიციამ სპეცოპერაციის დროს მოკლა.

გუშინ დილით უოთერთაუნში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, ეჭვმიტანილებმა ცეცხლი გაუხსნეს პოლიციელებს, რა დროსაც ერთი პოლიციელი დაიღუპა, მეორე კი მძიმედ დაიჭრა.

დღეს ამერიკის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ბოსტონის მარათონის ტერაქტში ეჭვმიტანილი ორი მამაკაცის ფოტო გაავრცელა.

სავარაუდო დამნაშავეები, აფეთქების ადგილის მიმდებარედ დამონტაჟებულმა სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს. კადრებში ორი საეჭვო მამაკაცი ჩანს, რომლებიც აფეთქების ადგილზე ზურგჩანთებით გადაადგილდებიან.

ფედერალური გამოძიების ბიუროს წარმომადგენლები მოქალაქეებს მოუწოდებდნენ, რომ აღნიშნული ეჭვმიტანილების აღმოჩენის შემთხვევაში, მათი დაკავება თავად არ ეცადათ, რადგან ბოროტმოქმედები, სავარაუდოდ, შეიარაღებულნი იქნებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ ბოსტონის მართონის საფინიშო ხაზთან მომხდარ აფეთქებას სამი ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის ერთი ბავშვია, 134-მა სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო. გუშინ გარდაცვლილთა მოსაგონარი ცერემონია გაიმართა, რომელსაც ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა მეუღლესთან ერთად დაესწრო.

ბოსტონში ტრანსპორტის მოძრაობა შეჩერებულია. მასაჩუსეტის შტატის ხელისუფლებამ რამდენიმე რაიონში ტრანსპორტისა და დაწესებულებების მუშაობის შეჩერების გადაწყვეტილება ბოსტონში რამდენიმე დღის წინათ მომხდარი აფეთქებების მოწყობაში ეჭვმიტანილთა სამძებრო სამუშაოების ჩასატარებლად მიიღო. პოლიციის ინფორმაციით, ლაპარაკია ბოსტონის გარეუბან უოტერტაუნის 20 კვარტალზე, სადაც სამართალდამცავები სამძებრო სამუშაოებს ატარებენ. ბოსტონის იმ რაიონის მცხოვრებლებს, სადაც წუხელ ღამით პოლიციელზე თავდასხმა მოხდა, საცხოვრებელი სახლების დროებით დატოვება სთხოვეს.

# აშშ-მ და ჩრდილოეთ კორეამ ერთმანეთს მოთხოვნები წაუყენეს

ვაშინგტონმა და ფხენიანმა მოლაპარაკებების დაწყებამდე ერთმანეთს გარკვეული მოთხოვნები წაუყენეს. ჩრდილოეთ კორეამ სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებამდე გაეროს მიერ დაწესებული სანქციების მოხსნა და სამხრეთ კორეისა და ამერიკის ერთობლივი წვრთნების შეჩერება მოითხოვა.

ჩრდილოეთ კორეას ეროვნული თავდაცვის კომისიის მიერ გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამერიკამ და სამხრეთ კორეამ პროვოკაციული ქმედებებიდან გამომდინარე სასწრაფოდ ბოდიში უნდა მოიხადონ.




თავის მხრივ ამერიკა მოლაპარაკებების დაწყებამდე ფხენიანს მიმართავს, რომ ქვეყანამ საბოლოოდ უარი უნდა თქვას ბირთვულ პროგრამაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩრდილოეთ კორეის მუქარა ქვეყნის მეტ იზოლაციას გამოიწვევს.

გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის განცხადებით კი, ოფიციალურმა ფხენიანმა ბირთვულ ამბიციებზე უარი უნდა თქვას, რადგან მიუხედავად რიგი ბირთვული და სარაკეტო გამოცდების ჩატარებისა, ის ბირთვული სახელმწიფოს სტატუსს ვერ მიიღებს. მისივე თქმით, ჩრდილოეთ კორეამ კურსი უნდა შეცვალოს და ყურადღება ქვეყანაში არსებულ ჰუმანიტარულ სიტუაციაზე გაამახვილოს.

გაეროს უშიშროების საბჭომ სპეციალური რეზოლუცია მიიღო, რომლის მიხედვითაც ჩრდილოეთ კორეას ბირთვულ იარაღზე მუშაობის შეწყვეტისკენ მოუწოდებს.

ჩრდილოეთ კორეამ 2005 წელს თავი ბირთვულ სახელმწიფოდ გამოაცხადა, ხოლო 2006, 2009 და 2013 წლებში მიწისქვეშა ბირთვული ცდები ჩაატარა, რამაც საერთაშორისო საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია.

# პაკისტანის პოლიციამ ყოფილი პრეზიდენტი პერვეზ მუშარაფი სასამართლოს წარუდგინა

პაკისტანის ექსპრეზიდენტ პერვეზ მუშარაფს ბრალი უკანონო გათავისუფლებებსა და სასამართლოს თავისუფლების შეზღუდვაში ედება. მისი დაკავების ორდერი პაკისტანის სასამართლომ გუშინ გასცა. ინფორმაციას ადგილობრივ მედიაზე დაყრდნობით „ბიბისი“ ავრცელებს.

ექსპრეზიდენტს 2007 წლის მარტის განვითარებულ მოვლენებში ედება ბრალი, როდესაც პერვეზ მუშარაფმა, როგორც სახელმწიფოს მომავალმა მეთაურმა და უმაღლესმა მთავარსარდალმა, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, რომლის შემდეგაც კონსტიტუციის მოქმედება შეაჩერა. ყოფილმა პრეზიდენტმა კონსტიტუციის შეჩერების შემდეგ, მაღალი რანგის რამდენიმე მოსამართლე სამსახურიდან გაათავისუფლა და შინაპატიმრობა მიუსაჯა. ადვოკატებმა მუშარაფის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლება მოითხოვეს, თუმცა სასამართლომ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და მუშარაფს პატიმრობა შეუფარდა. ექსპრეზიდენტის ადვოკატებმა აღნიშნული გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში, მოსამართლის უსაფუძვლო გადაწყვეტილების ბრალდებით უკვე გაასაჩივრეს.

გენერალი პერვეზ მუშარაფი პაკისტანის პრეზიდენტი იყო 2001-2008 წლებში.



მუშარაფი დაიბადა 1943 წლის 11 აგვისტოს ნიუ-დელიში, ინდოეთში. 1947 წელს მან მშობლებთან ერთად დატოვა ინდოეთი და პაკისტანში გადავიდა საცხოვრებლად. იქ მუშარაფმა სამხედრო განათლება მიიღო და არმიაში დაიწყო სამსახური. მან ინდოეთის წინააღმდეგ ორივე ომში მიიღო მონაწილეობა.

ომის შემდეგ იგი პაკისტანის არმიის პირველი გენერალი გახდა. 1999 წლის 12 ოქტომბერს მუშარაფის მეთაურობით (იგი ამ დროს გენშტაბის უფროსი იყო) არმიამ პუტჩი მოაწყო და პრემიერ-მინისტრი ნავაზ შარიფი შინაპატიმრობაში აიყვანა. პოლიტიკური ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ 1999 წლის 22 დეკემბერს მუშარაფის 30.000-მდე მებრძოლმა ქვეყნის ყველა ელექტროსადგური დაიკავა, რითაც კონტროლი დაამყარა პაკისტანის ეკონომიკაზეც. 2001 წლის 20 ივნისს მუშარაფი ოფიციალურად გახდა პაკისტანის პრეზიდენტი.

დასავლეთის ქვეყნებში მუშარაფი მოიაზრებოდა, როგორც გაწონასწორებული პოლიტიკოსი. ის დასავლეთთან თანამშრომლობდა კიდეც. მისი პრეზიდენტობის დროს პაკისტანში ეკონომიკური რეფორმები გატარდა და ქვეყანა მოდერნიზაციის გზაზე დადგა. რელიგიურ საკითხში პერვეზ მუშარაფი შემწყნარებელი და გაწონასწორებულია. პუტჩის შემდეგ პაკისტანის არმია და უშიშროების სამსახური გაიწმინდა ისლამისტური ელემენტებისაგან.

2001 წლის 11 სექტემბერის ტერაქტების შემდეგ მუშარაფი აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მოკავშირე იყო ტერორიზმის წინააღმდეგ ომში. 2003 წლის 14 დეკემბერს იგი აფეთქებას გადაურჩა რავალპინდიში, როცა ტერორისტებმა ააფეთქეს ის ხიდი, რომელზეც პრეზიდენტის ესკორტმა გაიარა. ეს მუშარაფზე მოწყობილი მესამე ტერაქტი იყო.

პრეზიდენტობის უკანასკნელ წლებში მუშარაფი ინდოეთთან შერიგების გზას ადგა. ეს მოლაპარაკებები ცნობილია „კრიკეტ-დიპლომატიის“ სახელწოდებით.

